დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

(სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის N52 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ეთერ ბოკელავაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თეა მათითაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ჩალახეშაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე ხუციშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის N52 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211351384

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ალ.ყაზბეგის გამზ.N27
ფაქტობრივი მისამართი	ალ.ყაზბეგის გამზ.N27
საფოსტო ინდექსი	3323
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/186?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi52@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	03222373061

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 03 აგვისტოს N MES 9 23 0000961454 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	11 და 12 სექტემბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი (I-VI კლასები)	ქართული	თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.N27
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო (VII-IX კლასები)	ქართული	თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.N27
	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო (X-XII კლასები)	ქართული	თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ.N27

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის N52 საჯარო სკოლაში 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, როგორც პირდაპირ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი), ასევე დისტანციურ ფორმატში (საგნობრივი ექსპერტები). ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტაციას. ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში გაიცა ზეპირი რეკომენდაციები და რჩევები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის N52 საჯარო სკოლაში, გერმანიის ფედერაციისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობის და ხელშეწყობის საფუძველზე, 2008 წლის სექტემბრიდან

წარმატებით ხორციელდება გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა (DSD პროგრამა). აღნიშნული პროგრამის ყოველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ მოსწავლეებს გადაეცემათ გერმანიის სახელმწიფო დიპლომები. პროგრამის მიზანია სწავლებაში თანამედროვე, აპრობირებული მეთოდების დანერგვა. სწავლებას ახორციელებენ კვალიფიციური, გამოცდილი კადრები, რასაც ადასტურებს მოსწავლეთა შედეგების ყოველწლიურად ზრდადი სტატისტიკა. გერმანულის სწავლებას ეთმობა დამატებითი საათები და გერმანული ენის სწავლება ხორციელდება მე-3 კლასიდან სპეციალური პროგრამის შესაბამისად.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა;
- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;
- საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებ რეაგირებას და პირველადი დახმარებ აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.06.2024-მდე) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის მოპოვება.
ინდიკატორი N3.5.1(2)	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (16.10.2024-მდე) უზრუნველყოს დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, კერძოდ შშმ პირებისთვის/სსსმ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორი N3.5.1(3)	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (16.10.2024-მდე) უზრუნველყოს სწავლებისათვის ინკლუზიური გარემოს შექმნა, კერძოდ ადაპტირებული სველი წერტილებისა და პანდუსის/ლიფტის მოწყობა.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2(1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სკოლას მიეცეს რეკომედაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (29.12.2023) უზრუნვრლყოს ბუნებისმეტყველების I - IV კლასების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილების შექმნა გრძევლადინი მიზნების შესაბამისად, კერძოდ, ისინი უნდა მოიცავდეს გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად გაწერილ შესასწავლ ყველა სავალდებულო თემას (სტანდარტის მიხედვით); ბუნებისმეტყველების V – VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილრბში სასწავლო თემაში გამოყოფილ თითოელ კლასტერს უნდა ქონდეს მითითებული შესაბამისი სასწავლო რესურსი, სასწავლო რესურსებში მოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს კი - ავტორი, ამავდროულად, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული უნდა იყოს ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეაში კი - მოსწავლის მიერ შესასრულებელი შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი 2.2.2(3)	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სკოლას მიეცეს რეკომედაცია, რომ შესაბამისობის გეგმში განსაზღვრულ ვადაში (29.12.2023-მდე) უზრუნვრლყოს ბუნებისმეტყველების (I - IV და V – VI კლასები) შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) რუბრიკების შექმნა.

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საშუალო საფეხურის კურიკულუმი)**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2(1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი	სკოლას მიეცეს რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (29.12.2023-მდე) უზრუნველყოს:

	წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	1. X, XI კლასების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილის შექმნა მესამე უცხოური ენა - არჩევითი კურსის სტანდარტის, ხოლო XII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილის შექმნა საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. 2. საშუალო საფეხურის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფიზიკის მიმართულების XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილის შექმნა** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, ისინი უნდა მოიცავდეს გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად გაწერილ შესასწავლ ყველა სავალდებულო თემას (სტანდარტის მიხედვით); ასევე **ფიზიკის მიმართულების X კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში** ყველა სავალდებულო თემასთან მითითებულ სამიზნე ცნებასთან განსაზღვროს შესაბამისი კერძო ქვცენება.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1(1)	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლას მიეცა რჩევა, განსაზღვროს დროის რა მონაკვეთში გეგმავს ხედვაში ასახული გზით მისიის მიღწევას, ვინაიდან ხედვა უნდა წარმოადგენდეს შუალედურ რგოლს მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს შორის და შეასრულოს სტრატეგიული გეგმის ძირითადი ორიენტირის ფუნქცია.

ინდიკატორი 1.1.1(3)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლას მიეცა რჩევა გამოკითხვის შედეგები აწარმოოს ანალიზის ფორმით, რომელშიც მკაფიოდ გამოჩნდება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა და დაინტერესება საკითხის მიმართ, გამოკვეთილი ტენდენცია, ჩართულობის ხარისხი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი 3.1.1(1)	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა:** 1. გამოასწოროს თანამდებობრივ ინსტრუქციებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, მუხლებისა და პუნქტების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. ასევე, შესაბამისობაში მოიყვანოს თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საშტატო განრიგში არსებული თანამდებობრივი პოზიციები, მაგალითად, ენისა და მეტყველების სპეციალისტისა და ექთნის პოზიციები, რომლებიც ასახულია ინსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული სკოლის საშტატო განრიგით. 2. გრაფიკული სტრუქტურა შეუსაბამოს თანამდებობრივ ინსტრუქციებს, მასში ასახოს არაკოლეგიური სტრქტურული ერთეულებიც (ადმინისტრაცია, ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი) თითოეულში შემავალი პოზიციის და დაქვემდებარების მიხედვით. ასევე, მიეცა რჩევა სტრუქტურაში მითითებული და სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული საგნობრივი კათედრების დასახელებები მოიყვანოს ერთმანეთთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში. მაგალითად, სტრუქტურაში მოცემულია ,,ქართული ენისა და ლიტერატურის'' კათედრა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში ,,სახელმწიფო ენის'' კათედრა, ასევე

		სტრუქტურაში მოცემულია ,,ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების'' კათედრა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში ,,საზოგადოებრივი მეცნიერებების'' კათედრა.
ინდიკატორი 3.1.1(2)	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში დაასაქმოს მეორე ექიმის, ან სულ მცირე, ექთნის კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებული რეკომენდაციის ფარგლებში.
ინდიკატორი N3.1.2(1)	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს თანამშრომლის მიღების წესის მე-3 და მე-4 უნქტების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან'' შესაბამისობაში მოყვანა საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების რეგულაციის ნაწილში და გაითვალისწინოს ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები.
ინდიკატორი N3.1.2(4)	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სკოლას მიეცა რჩევა ნასამართლეობის ცნობების გარდა დასაკავებელი პოზიციების მიხედვით განსაზღვროს თანამშრომელთა პირად საქმეში განსათავსებელი სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (მაგ: პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, სერტიფიკატი და ა.შ, რასაც სკოლა საჭიროდ მიიჩნევს).

ინდიკატორი 3.4.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.
ინდიკატორი 3.5.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა:** 1. გოგონებისა და ვაჟებისთვის მოაწყოს ცალ-ცალკე გასახდელი ოთახები. 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მოაწყოს გამწოვი კარადა და სავენტილაციო სისტემა. ასევე, აღჭურვოს ისეთი ზედაპირის მერხებით/მაგიდით, რომლის ზედაპირიც მისცემს საშუალებას ჩატარდეს ცდები და საშუალება მიეცეს თითოეულ მოსწავლეს მონაწილეობის მიიღოს ცდების ჩატარების პროცესში.
ინდიკატორი 3.5.1(5)	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება
ინდიკატორი 3.6.3(5)	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში,	სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს და შეავსოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი 4.1.2(1)	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის წესში, სტატუსის შეჩერების საფუძვლებში დაამატოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, კერძოდ: სკოლა ვადებულია დაწყებითი, საბაზო, და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს სტატუსი, თუ სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.
ინდიკატორი 4.2.1(6)	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სკოლას მიეცა რჩევა, სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული საჭიროებების დადგენისა და უკუკავშირის გათვალისწინების მიზნით, კვლევა აწარმოოს ანონიმური კითხვარების მეშვეობით და ანალიზის შედეგად საჭიროებების დადგენას მისცეს წერილობითი ხასიათი.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი*	*რჩევა*

	(საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	
ინდიკატორი N2.2.2(1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) მიმართულების ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებასთან განსაზღვრული იყოს შესაბამისი კერძო ქვცენება, გათვალისწინებულ იქნას ქოუჩის მიერ მითითებული კომენტარები. კომპლექსურ დავალებაში მითითებული სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებული სამიზნე ცნებები (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემხვევაში) იდენტური იყოს.
ინდიკატორი N2.2.2(3)	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმსაზღვრელი შეაფსების რუბრიკებში სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად) და შეფასების რუბრიკებში მითითებული საფეხურის შედეგები შეესაბამებოდეს სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებს.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.2.2(1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;	**უცხოური ენების** საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში დაზუსტდეს გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შეფასების კრიტერიუმები.
ინდიკატორი N2.2.2(3)	*შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე*	*სკოლას მიეცეს რჩევა, რომ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია)** მიმართულების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად) და შეფასების რუბრიკებში მითითებული საფეხურის შედეგები შეესაბამებოდეს სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა,*

		ბიოლოგია) მიმართულების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად) და შეფასების რუბრიკებში მითითებული იყოს შესაბამისი სამიზნე ცნებები საფეხურის შედეგებითა და მკვიდრი წარმოდგენებით შესაბამის ადგილას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (პირველ სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1(2); 1.1.1(3); 1.1.1(5); 1.2.1(2); 1.2.1(4), მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.2(3); 3.1.2(4); 3.3.1(3); 3.6.3(5)), ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი'', ვინაიდან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება აღნიშნული ინდიკატორების მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხოლო რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“ (მეორე სტანდარტთან მიმართებით (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) - 2.2.2(1); 2.2.2(3), (საშუალო საფეხურის კურიკულუმი) – 2.2.2(1); მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.4.1(1); 3.5.1(2); 3.5.1(3)), ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებული მისია და ხედვა.
   სკოლის **მისიაში** ასახულია ისეთი დებულებები როგორიცაა: ხელსაყრელი პირობების შექმნა ადამიანის კულტურული, სოციალური და პიროვნული ზრდისათვის, მისი თვითგანვითრებისა და თვითრეალიზაციისათვის, მოზარდის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარებისათვის, მოსწავლეთა მიერ კვლევითი ჩვევების დაუფლებისთვის.
   რაც შეეხება სკოლის **ხედვას,** მისი ფორმულირება არის შემდეგი: სკოლა გეგმავს შექმნას მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებით, მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობების და პოტენციალის გამოვლენისა და რეალიზების საშუალება. სკოლის მთავარი ამოცანაა ყველა მოსწავლე თანაბრად მოამზადოს წარმატებისთვის. აქედან გამომდინარე სკოლა, საგნობრივი კურიკულუმების, კონკურსებისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების საშუალებით, ხელს უწყობს მოსწავლეებში თავისუფალ აზროვნებაზე დაფუძნებული იმ ღირებულებების, ფასეულობების ჩამოყალიბებას, რომელიც გარემოში ადაპტაციისა და ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. ***სკოლას მიეცა რჩევა, განსაზღვროს დროის რა მონაკვეთში გეგმავს ხედვაში ასახული გზით მისიის მიღწევას, ვინაიდან ხედვა უნდა წარმოადგენდეს შუალედურ რგოლს მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს შორის და შეასრულოს სტრატეგიული გეგმის ძირითადი ორიენტირის ფუნქცია.***

სკოლის მისია და ხედვა თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და შესაბამისად, 1.1.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის **მისია** ითვალისწინებს ხელსაყრელი პირობების შექმნას ადამიანის კულტურული, სოციალური და პიროვნული ზრდისათვის, მისი თვითგანვითრებისა და თვითრეალიზაციისათვის, მოზარდის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენისა და განვითარებისათვის, მოსწავლეთა მიერ კვლევითი ჩვევების დაუფლებისთვის. ხოლო **ხედვის თანახმად,** სკოლა გეგმავს შექმნას მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებით, მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობების და პოტენციალის გამოვლენისა და რეალიზების საშუალება. ხედვა ითვალისწინებს კონკურსებისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების საშუალებით, მოსწავლეებში თავისუფალ აზროვნებაზე დაფუძნებული იმ ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობას, რომელიც გარემოში ადაპტაციისა და ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას მისცემს. შესაბამისად, მისიითა და ხედვით სკოლას გააზრებული აქვს, რომ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისთვის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ***თუმცა არც მისიიდან და არც ხედვიდან არ გამომდინარეობდა თუ როგორ ხედავს სკოლა სასკოლო გარემოს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო სივრცეს.***

1.1.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ახლებურად ჩამოყალიბებული სკოლის მისია და ხედვა. კორქტირებულ მისიაში სკოლის მიზნად დასახულია ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში შესძინოს მოსწავლეებს თვითრეალიზაციისთვის აუცილებელი ცოდნა და გახადოს კონკურენტუნარიანი მოქალაქე. ხოლო ხედვაში სკოლა აცხადებს მზადყოფნას შექმნას სრულყოფილი, უსაფრთხო, განვითარებადი და ინკლუზიური გარემო ყველა მოსწავლისათვის. შესაბამისად, დგინდება, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს და ინდიკატორი 1.1.1 (2), რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება" შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

3. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც, მეთოდოლოგიის მთავარ ორიენტირად სკოლამ განსაზღვრა მაქსიმალური ჩართულობა. აღნიშნული მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის თანახმად, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, ასევე მისიის, ხედვის და მიზნების გადახედვა/დახვეწა წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის საწყის ეტაპებს. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და სამეურვეო საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების დასკვნით დოკუმენტებში ასახვას, ხოლო მე-4 მუხლის (მისიის, ხედვის და მიზნების შემუშავება/გადახედვა/დახვეწა) მე-5 პუნქტის თანახმად, სკოლის დირექცია აკადემიურ პერსონალთან, დასაქმებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით აყალიბებს მიზნებისა და ღირებულებების საბოლოო რედაქციას. აღნიშნულის მიუხედავად, სკოლამ ვერ

წარმოადგინა 2023 წლის 7 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესებისა და მასში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამსახველი მტკიცებულებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმში გახილულია ფილოსოფიის შეთანხმების საკითხი, ხოლო 2023 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმში განხილულია სკოლის ფილოსოფიის დამტკიცების საკითხი, რომლებშიც იკითხება, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა იმუშავა ამ მიმართულებით და მათ სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, შეიმუშავეს სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ვერსია. თუმცა, სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნისა და გაწეული სამუშაოს ამსახველი მასალა. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ფილოსოსფიის შემუშავებამდე სკოლამ გამოიკითხა სასკოლო საზოგადოების აზრი, თუმცა აღნიშნულის თაობაზე დოკუმენტაცია არ უწარმოებია.

1.1.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, რომელსაც დაევალა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ჯგუფი დაკომპლექტებულია მშობლის, მოსწავლის და მასწავლებლისაგან, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების სხვადსხვა რგოლის ჩართულობა. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმი, რომელითაც დგინდება სამუშაო ჯგუფის მიერ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტების შემუშავება, ხოლო სამეურვეო საბჭოს ოქმში კი იკითხება, რომ სკოლამ გაიარა მეთოდოლოგიით განსაზღვრული ეტაპები, კერძოდ, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება, კვლევის შედეგების გათვალისწინებით კი სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ფილოსოფიის პროექტი. სკოლამ ასევე წარმოადგინა კითხვარები, რომლითაც მოხდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით დამტკიცებული სკოლის ახალი ფილოსოფია. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. *სკოლას მიეცა რჩევა გამოკითხვის შედეგები აწარმოოს ანალიზის ფორმით, რომელშიც მკაფიოდ გამოჩნდება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა და დაინტერესება საკითხის მიმართ, გამოკვეთილი ტენდენცია, ჩართულობის ხარისხი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.*

4. სკოლის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები განხილულ იქნა სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბერის სხდომაზე, რითაც მოხდა პროექტების გაზიარება სასკოლო საზოადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი). სკოლის ფილოსოფია დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე, რითაც ასევე გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების პედაგოგიური ნაწილისთვის. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლების პორტალზე სკოლის ვებ-გვერდის ლინკი, რომეზეც განთავსებულია სკოლის ახალი ფილოსოფია, რითაც უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბრად გაზიარება. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მრავალფეროვანი გზები.

ვინაიდან სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მისიის,ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებას, 1.1.1 (4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლების პორტალის ვებ-გვერდის შესაბამისი სკოლის გვერდის დათვალიერებით დადგინდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებებისთვის განკუთვნილ ბლოკში არ იყო განთავსებული სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯაროდ ხელმისაწვდომობის დამდასტურებელი დოკუმენტი. 1.1.1 (5) **ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ვებ-გვერდის ლინკი, რომლითაც დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**
6. შემოსავლების სამსახურის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის N52 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ". ასევე, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესს". **ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, 1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის N7 სხდომის ოქმი სკოლის ფილოსოფიის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის N13 სხდომის ოქმი სკოლის ფილოსოფიის განხილვის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 10 თებერვლის N8 ოქმი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შემოსავლების სამსახურის ამონაწერი;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და დამტკიცების ბრძანება (17.10.2023)
- სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით ცვლილების შეტანის თაობაზე სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის ოქმები;
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (17.10.2023) და სამუშაო ჯგუფის ოქმი (17.10.2023);
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სკოლის ფილოსოფიის განხილვაზე (17.10.2023);
- პედაგოგიური საბჭოს ოქმინ სკოლის ფილოსოფიის დამტკიცებაზე (18.10.2023).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპი მოიცავს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესების და დამოკიდებულებების შესახებ. ამ ეტაპზე ხდება ასევე სკოლის შიდა დოკუმენტაციისა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება.

ინფორმაციის შეგროვებისათვის, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუ, და სხვა). ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა და უკუკავშირის მიღება. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და სამეურვეო საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების დასკვნით დოკუმენტებში ასახვას. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. შეგროვებული ინფორმაცია და ანალიზი, რომელიც მათ შორის მოიცავს გასულ წელს დასახული სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხს, მუშავდება და გამოიყენება შემდგომი სამოქმედო გეგმის/გეგმების განსაზღვრაში. **შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 8 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N2 სხდომაზე დამტკიცებული 2022-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გაწერილია შვიდწლიანი ციკლი. გეგმაში ასახულია სკოლის მიზნები და ამოცანები, თუმცა სტრატეგიულ გეგმაში ნათლად არ არის წარმოჩენილი რომელია სტრატეგიული მიმართულებები (სტრატეგიული მიზნები) და მიზნების შესაბამისი ამოცანები. სკოლის მიზნები და ამოცანები განიხილება, როგორც ზოგადი მიზნები და ამოცანები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები კი უნდა იყოს კონკრეტულ 7 წელზე გაწერილი. გეგმაში არ არის განსაზღვრული რომელი ამოცანა რომელ სტრატეგიულ მიზანს მიემართება. სტრატეგიულ გეგმაში ჩაშლილი შედარებით მსხვილი მიმართულებები, რომლებიც 7 წელზეა გაწერილი, თავისი შინაარსით წარმოადგენს ამოცანებს, ხოლო უფრო ვიწრო მიმართულებები აქტივობებს. სტრატეგიულ გეგმაში ასახულია გეგმის დამტკიცების დროისთვის მოქმედი სკოლი მისია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები დაამტკიცა 2023 წლის 7 სექტემბერს, 1 წლის გასვლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წლის 8 სექტემბერს დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა არ გამომდინარეობს 2023 წლის 7 სექტემბერს დამტკიცებულ სკოლის ფილოსოფიიდან, ვინაიდან წინ უსწრებს ფილოსოფიის შემუშავებას და მასში ვერ იქნება ასახული მისიასთან თავსებადი მიზნები.

1.2.1 (2) ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ერთვოდა სკოლის სტრატეგიული გეგმა და მისი დამტკიცების ოქმი. წარმოდგენი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და ციკლური. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 7 სტრატეგიული მიზაცი, რომლებიც ჩაშლილია ამოცანებად. წარმოდგენილი

სტრატეგიული მიზნები ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნის შესაბამის ამოცანებს. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

3. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. 2022 წლის 7 სექტემბრის ოქმის შესწავლით დგინდება, რომ მე-3 საკითხად განხილულია 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, ხოლო მე-7 საკითხად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. როგორც დადგინდა, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს საკითხების ნუმერაციისას და სკოლის დირექციამ განმარტა, რომ 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. ასევე, 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს და დაამტკიცებს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს 2023-2024 სასწავლო წლის სამუშაო გეგმის მე-2 სხდომისთვის გაწერილი დღის წესრიგით. **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ერთვის სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ოქმი. დგინდება, რომ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შემუშავდა და დამტკიცდა სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. გეგმაში მკაფიოდაა განსაზღვრული აქტივობების მიმართება ამოცანებთან და სტრატეგიულ მიზნებთან.**
დგინდება, რომ 1.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას დამტკიცებული ჰქონდა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა აქტივობებს, კალენდარულ თვეებზე გაწერილ შესრულების ვადებსა და შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს. გეგმაში არ იყო ასახული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური), რომელიც უზრუნველყოფდა დასახული მიზნების მიღწევას. **1.2.1 (4) ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც თან ერთვოდა სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ოქმი. წარმოდგენილ სამოქმედო გეგაში ასახულია სრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური), რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 10 თებერვლის N8 ოქმი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2022 წლის 8 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N2 სხდომის ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ;
- 2022-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს 2023-2024 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისი დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების შესახებ სამეურვეო საბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალიწინებდა, სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების მონიტორინგის მექანიზმებს. მე-10 მუხლის თანახმად, სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მე-11 მუხლის თანახმად კი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორიგნს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო ამავე მეთოდოლოგიით დადგენილი წესით. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. საჭიროების

შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამეურეო საბჭო ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორი. **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებდა ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს, შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა განეხორციელება ცვლილებების შეტანა და გაეთვალისწინებინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ახალი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოდოგია, რომელშიც გათვალისწინებულია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების ეტაპები და ჩართული პირები. ასევე გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები და პროცედურა. დოკუმენტს თან ერთვის ცხრილი, რომელშიც სკოლა ასახავს მონიტორინგის შედეგებს და ანალიზს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, შესაბამისად, 1.2.2 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. *ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*
3. *ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*
4. *ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და დამტკიცების ოქმი (10.02.2023).
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და დამტკიცების ბრძანება (17.10.2023).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, სსსმ პირის ასისტენტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ფსიქოლოგი, მუშა, ბიბლიოთეკარი, ცეცხლფარეში, დარაჯი და დამლაგებელი. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც აღწერილია აღნიშნული პირების ფუნქციები და თითოეული პოზიციის მიხედვით ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების სისტემა. დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის ბიბლიოთეკარის საქმიანობა დამატებით რეგულირდება ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით. ასევე, თანამდებობრივ ინსტრუქციებში აღწერილია თუ რა სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებს სკოლაში და რომელ სტრუქტურულ ერთეულს მიეკუთვნება კონკრეტული თანამდებობრივი პოზიცია. ***სკოლას მიეცა რჩევა გამოასწოროს თანამდებობრივ ინსტრუქციებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, მუხლებისა და პუნქტების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. ასევე, შესაბამისობაში მოიყვანოს თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საშტატო განრიგში არსებული თანამდებობრივი პოზიციები, მაგალითად, ენისა და მეტყველების სპეციალისტისა და ექთნის პოზიციები, რომლებიც ასახულია ინსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული სკოლის საშტატო განრიგით.*** გასაუბრებითა და ბრძანებების შესწავლით დადგინდა, რომ გარდა შრომითი ხელშეკრულებისა, ცალკეული ბრძანებით ხდება შესასრულებელი ფუნქციის დაკისრება, მაგალითად პერსონალური ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე

პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, შესყიდვების გვერდზე გეგმის კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ და სხვა.

სკოლამ წარმოადგინა გრაფიკული სტრუქტურა, რომელშიც ასახულია სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობები და მათ მიერ შექმნილი კლუბები. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა სტრუქტურული ერთეულების დაკომპლექტებისა და არჩევის პროცედურა, მათი საქმიანობის წესი. ***სკოლას მიეცა რჩევა, გრაფიკული სტრუქტურა შეუსაბამოს თანამდებობრივ ინსტრუქციებს, მასში ასახოს არაკოლეგიური სტრქტურული ერთეულებიც (ადმინისტრაცია, ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი) თითოეულში შემავალი პოზიციის და დაქვემდებარების მიხედვით. ასევე, მიეცა რჩევა სტრუქტურაში მითითებული და სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული საგნობრივი კათედრების დასახელებები მოიყვანოს ერთმანეთთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში. მაგალითად, სტრუქტურაში მოცემულია „ქართული ენისა და ლიტერატურის" კათედრა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში „სახელმწიფო ენის" კათედრა, ასევე სტრუქტურაში მოცემულია „ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების" კათედრა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში „საზოგადოებრივი მეცნიერებების" კათედრა.***

დამატებითი ერთეულების სახით ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, მასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

დგინდება, რომ სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და 3.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად, იკრიბებიან სხდომებზე, იღებენ ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის და სასწავლო რესურსების შეთანხმება და დამტკიცება, შინაგანაწესის დამტკიცება და ცვლილების შეტანა, მოსწავლეთა საფეხურისა და კლასის დაძლევის საკითხების განხილვა, დირექტორისა და მოადგილეების ანგარიშების მოსმენა და სხვა. სკოლის სტარტეგიულ და 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება თითოეული დაკავებული პოზიციის მიხედვით გაწერილ ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს. დირექტორის ბრძანებებით დელეგირებულია უფლებამოსილებები ცალკეულ დასაქმებულებაზე (მაგ: ჟურნალის მონიტორინგი, საჯარო

ინფორმაციის გაცემა და სხვა). თანამშომლებზე უფლებამოსილების დელეგირება და სტრუატურული ერთეულების უფლების გახორციელება ემსახურება სკოლაში მიმდინარე ძირითად პროცესს, როგორიცაა საგანმანათლებლო საქმიანობა. ექიმის საქმიანობა გარდა ხელშეკრულებისა, რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით. სკოლას აგრეთვე დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ავტორიზაციის განაცხადი წარდგენილი აქვს 2000 მოსწავლეზე. როგორც სკოლის ექიმთან გასაუბრებით დადგინდა, დიდია სამედიცინო კაბინეტში მოსწავლეთა მიმართვიანობა, რის გამოც ვერ ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით" განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოებას, როგორიცაა დანართი N1.1-ით დამტკიცებული ,,სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა". ***აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა რჩევა სკოლაში დაასაქმოს მეორე ექიმის, ან სულ მცირე, ექთნის კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, ზემოთ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული რეკომენდაციის ფარგლებში.***

დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, 3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმა;
- 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი საქმოქმედო გეგმა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები და სამუშაო გეგმები;
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება);
- თანამშრომელთა სია;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, თანამდეობობრივი ინსტრუქციების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.
   სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანს წარმოადენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმებს. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლის მიღების წესი, რომელშიც გაწერილია თანამშრომლის შერჩევის პროცედურა. აღნიშნული წესი ითვალისწინებს კომისიის დაკომპლექტებას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. შესაბამისად, ***სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის მე-3 და მე-4 უნქტების*** *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან" შესაბამისობაში მოყვანა საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების რეგულაციის ნაწილში და გაითვალისწინოს ბოლო საკანონმდებლო ცვლილებები.* სკოლასთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით.

თანამშრომლის მიღების მექანიზმები ასევე გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებშიც თითოეული პოზიციის შესაბამისად.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია შრომით პირობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, დისციპლინური წარმოების დებულებები, წახალისების მექანიზმები, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სკოლის შინაგანაწესი შესაბამისობაში შრომის კოდექსთან და წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს.

შესაბამისად, 3.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით და საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კადრის შესარჩევად ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, ასევე სკოლის მიერ დამტკიცებული თანამშრომლის მიღების შიდა წესით და კონკურსის გამოცხადებისას, დასაქმების ვებ-გვერდზე - teacherjobs.ge განათავსებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება teacherjobs.ge-ზე განთავსებული ვაკანსიებით და საკონკურსო დოკუმენტაციით. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით, საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და სკოლის მიერ დამტკიცებული თანამშრომლის მიღების წესით დადგინდა, მასწავლებლის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და ექიმის გარდა სხვა დასაქმებული შესაძლოა შეირჩეს დირექტორთან გასაუბრების გზით, საჭიროების შემთხვევაში კი კონკურსის გზით.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. ფუნქციების დროული დელეგირებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა.

დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისად, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' და ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შერჩევა კი ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის'' შესაბამისად. დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობით განსაზღვრული წევრებისგან. კონკურსის წესით კადრის დასაქმება უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები და 2020 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენილი მონაცემები სკოლაში დასაქმებული პირების შესახებ. შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლების ნაწილის პირად საქმეში არ არის განთავსებული ნასამართლეობის ცნობები, კერძოდ, 1 მასწავლებლების პირად საქმეში არ იყო განთავსებული ზოგადი ნასამართლეობის ცნობა, 1 უსტატუსო მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული დიპლომი და ნასამართლეობის ცნობები (სავალდებულოა სამივე ცნობა), 3 მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული უფლების ჩამორთმევის ცნობა, ხოლო 2 მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობა. სკოლამ ვერ წარმოადგინა 4 თანამშრომლის პირადი საქმე (2 დამლაგებელი, 1 მუშა, 1 მასწავლებელი), შესაბამისად, ვერ შემოწმდა ყველა პირად საქმეში დოკუმენტაციის არსებობა. მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სკოლამ ყველა დასაქმებულზე უნდა აწარმოოს პირადი საქმე და დასაქმებულების პირად საქმეში უნდა განათავსოს შესაბამისი დოკუმენტაცია და ნასამართლეობის ცნობები.

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა თანამშრომლეთა ბაზა და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ 7 თანამშრომელთან არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება. ასევე, ხელშეკრულებები არ იყო განახლებული იმ თანამშრომლებთან, რომელთა ხელშეკრულებებსაც გაუვიდა მოქმედების ვადა.

3.1.2(3) ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდა, რომ სკოლამ შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა ყველა იდენტიფიცირებულ თანამშრომელთან, ასევე, აწარმოა პირადი საქმე და პირად საქმეებში განათავსა საჭირო ნასამართლეობის ცნობები. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში ვიზიტის დღისთვის დასაქმებული იყო 137

თანამშრომელი, მათგან 111 მასწავლებლის პოზიციაზე (უფროსი - 74, წამყვანი - 36, სქემით გათვალისწინებული სტატუსის გარეშე - 1 მასწავლებელი, 2 - უფროსი სპეციალური მასწავლებელი). სკოლაში ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე დასაქმებული იყო დირექტორის მ/შ, დირექტორის მოადგილეები, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორინატორი, ექიმი, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკარი, სსსმ პირის ასისტენტები, ცეცხლფარეში, დარაჯი, დამლაგებელი, მუშა. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გარდა 1 მასწავლებლისა (გერმანული ენა), რომელიც სკოლაში დასაქმებულია პროფესიული სქემით გათვალისწინებული სტატუსის გარეშე (საათობრივი დატვირთვით კვირაში 9 საათზე მეტი). აღნიშნულ პირთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული სტატუსის მიხედვით, რადგან ვერ აკმაყოფილებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული დიპლომი.

სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილი იყო თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა სკოლას არ ჰქონდა გაწერილი თითოეული დასაკავებელი პოზიციის მიხედვით დასაქმებულების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციისა და პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, ვერ დადგინდა სკოლაში დასაქმებული პირები (გარდა მასწავლებლებისა) აკმაყოფილებენ თუ არა სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვინაიდან არ არსებობდა თანამშრომლების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის რეგულაცია მასწავლებლის გარდა სკოლის სხვა თანამშრომლებთან მიმართებით.

3.1.2(4) ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია, რომლის შესწავლითაც დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული გერმანული ენის მასწავლებელი არის გერმანიის მოქალაქე და საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში საქართველოში გამოგზავნილი მასწავლებელი. შეთანხმებისა და საზღვარგარეთ სასკოლო სწავლების გერმანიის ცენტრალური უწყების 2023 წლის 14 სექტემბრის წერილის საფუძველზე, აღნიშნულ გერმანელ მასწავლებელს მინიჭებული აქვს საქართველოში სწავლების უფლება და იგი ვალდებულია იმუშაოს 18 საათიანი დატვირთვით. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლაში სწავლების უფლების მინიჭების შესახებ და გამოცდების ჩაბარების შედეგად მასწავლებლის კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. სკოლამ თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა შეცვლილი დებულება, რომელიც არეგულირებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ცვლილებით განსაზღვრა მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მიერ წარმოსადგენი ნასამართლეობის ცნობების ჩამონათვალი. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ

შეესაბამება" შეფასდა როგორც „შეესაბამება". *სკოლას მიეცა რჩევა ნასამართლეობის ცნობების გარდა დასაკავებელი პოზიციების მიხედვით განსაზღვროს თანამშრომელთა პირად საქმეში განსათავსებელი სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (მაგ: პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, სერტიფიკატი და ა.შ, რასაც სკოლა საჭიროდ მიიჩნევს).*

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და სამუშაო გეგმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სრუქტურული ერთეულები, მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. ურთიერთთანამშრომლობით სხვადსხვა კათედრაზე იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. სკოლასი სხვადსხვა დროს შექმნილია კომისიები (საკონკურსო, ინვენტარიზაციის და სხვა) და ჯგუფები (ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის, მრჩეველთა საბჭო და სხვა), რომლებიც ასევე კოლეგიურობისა და გუნდურობის პრინციპით იკრიბებიან და იღებენ გადაწყვეტილებებს.

   შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოტივაციის ზრდისა და წახალისების მიზნით სკოლა იყენებს მასტიმულირებელ ბერკეტებს. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

   ა) მადლობის გამოცხადება;

   ბ) სიგელით დაჯილდოება;

   გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

   დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

   ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

   დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. დასაქმებულის მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა კალენდარულ წელიწადში ორჯერ

გაიცეს სადღესასწაულო პრემია. აღნიშნული დასტურდება სკოლის ბიუჯეტში ასახული თანხა პრემიების მუხლში და სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებით წახალისების შესახებ.

სკოლის ადამიანურ რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს სახელფასო სისტემის რეგულარულ დახვეწას, როგორც წახალისების გზით მოტივაციის გაზრდსი მექანიზმს.

მასწავლებელთა წარმატების გაზიარება ხდება პედაგოგთა და კათედრების შეხვედრებზე, ასევე სოციალური ქსელი მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის ჩატარების მასალები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- წახალისების ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის შეფასებისა და განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია მოიცავს პერსონალის შეფასებას და პროფესიულ განვითარებას, როგორც ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის სრულტურული სქემის ნაწილს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა პროფსიული განვითარების მიზნით ითვალისწინებს თანამშრომლეთა საჭიროებების გამოვლენას ანალიზის საფუძველზე.
   სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან საქმოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ამოცანად გაწერილია მასწავლებლების პროფესიული განვითარება და განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, როგორიცაა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობის ხელშეწყობა, შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზება კურიკულუმებისა და კომპლექსური დავალებების შექმნა/წარმოების თაობაზე, კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესო პრაქტიკის ერთმანეთისთვის გაზიარება და სხვა. როგორც გასაუბრებით დადგინდა, სკოლაში დაინერგა „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან საგაკვეთილო პროცესზე და აძლევენ უკუკავშირს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმითაც, მუშაობენ კათედრისა სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, აფასებენ მუშაობის პროცესს და უკუკავშირის ფორმით ერთმანეთს უზიარებენ ხარვეზების გამოსწორების გზებს.
   სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და შემუშავებულია დებულება. ხარისხის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. წინასწარ დგება დასწრების განრიგი, რომლის მიხედვითაც ჯგუფის წევრები ესწრებიან მასწავლებლების მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს აკვირდება განრიგის შესაბამისად და აძლევს რეკომენდაციებს. აღნიშნული დასტურდება გაკვეთილზე დასწრების შედეგად მიცემული განმავითარებელი უკუკავშირებითა და რეფლექსიით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები და 3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. *ვინაიდან სკოლა გადის პირველად დავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.*
3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის'' ფარგლებში, სკოლის ადმინისტრაციის თანადგომით, ყოველწიურად მიმდინარეობს სტატუსის ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვა/შეფასების პროცესი და ხდება მასწავლებლების სტატუსის ამაღლება. აღნიშნული დასტურდება სკოლაში წამყვანი მასწავლებლების რაოდენობით. კარიერული წინსვლა აისახა მასწავლებლების ხელფასებზეც. გასული სასწავლო წლის ბოლო სკოლამ განახორციელა შიდა შეფასება და პორტფოლიოს შეფასების საფუძველზე განხორციელდა მასწავლებლის სტატუსის ამაღლება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სასკოლო გარემოსთან მარტივი ადაპტაციის მიზნით, სკოლის მიერ ეწყობა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება კათედრებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. ასევე, ახალ თანამშრომელს ადმინისტრაცია აცნობს იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელსაც მიეკუთვნება დასაკავებელი პოზიციის მიხედვით, მაგალითად მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს წარდგენიბეა ახალი დამლაგებელი. ახალ დასაქმებულს განემარტება შესასრულებელი ფუნქციები, ეცნობა შინაგანაწესი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით, აქტიურად მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების და უსაფრთხოების ნორმების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები. ახალ თანამშრომელს სკოლა აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, ათვალიერებინებს სკოლის სივრცეს. **შესაბამისად, 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ პროფესიული განვითარების კუთხით არსებული საჭიროებები. სკოლის დირექცია ხელს უწყობს მასწავლებლებს ადმინისტრაციული მხარდაჭერით მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტრენინგებში. სკოლის მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე რეგისტრირდებიან, როგორც მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე, ასევე, გოეთეეს ინსტიტუტის და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე და სემინარებზე. სკოლა გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები, რაც ძირითადად, გამოიხატება თემატური ტრენინგების მოძიებითა და ხელშეწყობით ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში. სკოლის მხარდაჭერით პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები ახალი სკოლის მოდელის აქტივობებში, USAID სამოქალაქო განათლების მხარდამჭერ პროგრამაში, Junior Achievement Georgia • ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს მიერ განხორციელებულ

მასწვლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში. სახვითი ხელოვნების მასწავლებლის ინიციატივით სკოლაში ჩამოყალიბდა „ჩრდილების თეატრი“. მასწავლებლის ძალისხმევა წახალისდა სკოლის მიერ და ადმინისტრაციამ მაქსმალურად შეუწყო ხელი თეატრის ორგანიზებაში. **აღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება, ოქმები და ურთიერთდასწრების განრიგი;
- ჩატარებულ გაკვეთილზე პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრის განმავითარებელი უკუკავშირი; რეფლექსიები;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- ესთეტიკისა და სპორტის კათედრის ოქმები ჩატარებული გაკვეთილების ანალიზზე;
- სკოლის წერილი მასწავლებლის პორტფოლიოს შეფასებაზე;
- კონფერენციაში მონაწილეობის და ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების'' დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. ხარისხის უზრუნველყოფა ხდება შიდა და გარე შეფასების სიტემით. შიდა შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე'' პრინციპებს. დოკუმენტში აღწერილია სკოლის მიერ გასატარებელი ზომები სგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შემოწმების მიზნით. **შესაბამისად, 3.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, ვერიფიკაციის მექანიზმები, საქმისწარმოების წესი, საჩივრების განხილვის წესი, მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის მარეგულირებელი წესი, შიდა წესები, რეფერირების შიდა წესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლას

დამტკიცებული აქვს მმართველობითი პროცესის ამსახველი სკოლის ფილოსოფია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას იდენტიფიცირებული და გააზრებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **შესაბამისად, 3.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული გასაჩივრების პროცედურები. დოკუმენტში გაწერილია პრობლემის ფორმალური და არაფორმალური მოგვარების გზები. დოკუმენტის თანახმად, საჩივრების განხილვის კომპეტენცია ეკუთვნის სკოლის დირექტორს (აცილების საფუძვლის დადგომის შემთხვევაში - დირექტორის ბრძანებით განსაღვრულ პირს), რიგ საჩივრებს კი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს დისციპლინური კომიტეტი.

   დადგინდა, რომ საჩივრების განხილვის მარეგულირებელი სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი იყო ხარვეზიანი, კერძოდ, დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომები (მითითებული იყო სხვა სკოლის სახელწოდება) და, ასევე დაფიქსირებული იყო, რომ **ადმინისტარციის წევრს უფლება არ ჰქონდა არედგინა საჩივარი, მის მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონით გათვალისწინებულ გასაჩივრების უფლების რეალიზებას.** ,,საჯარო სკოლის წესდების'' მე-15 მუხლის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს **ორი კვირის** განმავლობაში, რაც მისთვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი გასაჩივრების პროცედურების თანახმად კი საჩივრის წარდგენა უნდა მომხდარიყო ქმედების განხორციელების ან სადავო აქტის **გამოცემიდან 30 დღის ვადაში.** წესდების თანახმად, დირექტორი საჩივარს განიხილავს საჩივრის შეტანიდან **ორი კვირის ვადაში,** ხოლო სკოლის მიერ წარმოდგენილი გასაჩივრების პროცედურების თანახმად, **10 დღის ვადაში,** რომელიც შესაძლოა გაგრძელდეს **30 დღემდე,** თუ საჩივართან დაკავშირებით საჭიროა დამატებითი გამოძიების ჩატარება. დოკუმენტს დანართის სახით ერთვოდა გასაჩივრების ვადების ცხრილი, რომელიც არ შეესაბამებოდა ამავე დოკუმენტში მითითებულ და საჯარო სკოლის წესდებით გათვალისწინებულ გასაჩივრების ვადებს. შესაბამისად, ბუნდოვანი იყო საჩივის განხილვის ვადების შესახებ დადგენილი რეგულაცია. გარდა ამისა, დოკუმენტში არ იყო ასახული სამეურვეო საბჭოში გასაჩივრებისა და სამეურვეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები, ასევე სად და რა ვადაში საჩივრდებოდა დირექტორის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

3.3.1(1) ინდიკატორთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განცხადებისა და საჩივრის განხილვის ახალი წესი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა დაფიქსირებული ხარვეზები და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საჯარო სკოლის წესდებასთან, როგროც საჩივრების გამნხილველ უფლებამოსილ პირებთან/სტრუქტურულ ერთეულებთან

დაკავშირებით, ასევე გასაჩივრების ვადებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „შეესაბამება".

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და გასატარებელი ზომები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას შიდა რეგულაციებით, რაც მათ მინიჭებული აქვთ ზოგადი განთლების შესახებ საქართველოს კანონით. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- საჩივრის წარდგენის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც სკოლა აქვეყნებს სკოლის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და საჭირო ინფორმაციას. სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს ინფორმაციის განსათავსებლად. მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს, ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობა-მიწოდება. სკოლას უკვე აქვს გააქტიურებული ვებ-გვერდი პორტალზე, რომელზეც მომავალში გეგმავს განათავსოს ყველა მნიშვნელოვანი რეგულაცია და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საქმისმწარმოებელი განსაზღვრულია ბრძანებების გაცნობაზე პასუხისმგებელ პირად. ინფორმაციის პედაგოგებისათვის გაზიარება და უკუკავშირის მიღება ხორციელდება სტრუქტურული ერთეულების სხდომებზე. **შესაბამისად, 3.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობა სკოლის მართვის კოლეგიურ ორგანოებში უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას. კერძოდ, სამეურვეო საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებით. სამეურვეო საბჭო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სკოლის ბიუჯეტთან, დისციპლინური კომიტეტის არჩევასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასთან, ფართის სარგებლობის უფლებით გაცემასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლების ჩართულობით მიიღება ისეთი მნიშნელოვანი გადწყვეტილებები როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა. საგნობრივ კათედრებზე მასწავლელები იღებენ გადაწყვეტილებას საათების განაწილების, სასწავლო რესურსების შერჩევის და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში უზრუნველყოფილია მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის მონაწილეობით გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეები, დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრსი წარმომადგენელი), რომლებიც იხილავენ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და გასცემენ რეკომენდაციებს. **შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობა დაცულია და შენოსასვლელი კონტროლდება დარაჯების მიერ. სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა და სკოლას აქვს დახურული შიდა ეზო. სკოლის დარაჯი ვიზიტორებს აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში და გარეშე პირთა გადაადგილება ხდება დირექციასთან შეთანხმებით. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომლებიც აღჭურვილნი არიან მეტალოდეტექტორებით.
   სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და დასაქმებულია ექიმი პედიატრი, რომელიც კვალიფიციურ მომსახურებასუწევს სკოლის მოსწავლეებსა და დასაქმებულებს. დათვალიერებით დადგინდა, რომ კაბინეტში აღჭურვილია საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. სკოლამ წარმოდგინა 2019 წლის 16 ივლისის N899 მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ, თუმცა გასულია აღნიშნული მიწერილობით ხარვეზების აღმოფხვრის ვადები (2019-2020 წლები). სკოლამ წარმოადგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სახელზე გაგზავნილი წერილი სახანძრო სიგნალიზაციის და ავარიული განათებების მონტაჟის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის მოთხოვნის მიზნით, რათა უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნისთვის სკოლის სახანძრო სისტემის გამართულობა.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლაში შექმნილი იყო საგანგებო შტაბი, თუმცა სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლას არ ჰქონდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ), თუმცა წარმოადგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის მიწერილი წერილი აღნიშნული დასკვნის მომზადების მიზნით დაფინანსების თაობაზე.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. **შესაბამისად,** ***სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვია მიზნით.***

3.4.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის მოთხოვნების ნაწილობრივ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციბის მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი, ასევე, წარმოადგინა, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ შენობა ვარგისია ექსპლოატაციისთვის და კვლევის ნაწილში აღწერილი დაზიანებები საფრთხეს არ უქმნის შენობის მდგრადობას. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოების დასკვნას, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 30.06.2023-დან 30.06.2024-მდე პერიოდი. ვინაიდან სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს აღნიშნული დასკვნა მოპოვებული, მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან

შესაბამისობის თაობაზე დასკვნის მოპოვება. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება".

2. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით" და განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც სკოლის მანდატურებს ეხმარებიან საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში. სკოლას განსზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერბაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს ნივთების ჩამონათვალს, რომლით სკოლაში გამოცხადებაც იკრძალება. სკოლაში დადგენილია სართულებზე მასწავლებლების მორიგების განრიგი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და განსაზღვრული ჰყავს კონტროლზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს დირექტორს. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომელშიც განხილულია რეკომენდაციები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით, როგორიცაა ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამატება, მოსწავლეთა დილის დაგვიანებებზე კონტროლის დაწესება, მორიგეობის სისტემის დახვეწა და სხვა. მრჩეველთა საბჭოს ოქმითა და სადამრიგებლო პროგრამებით დასტურდება, რომ **სკოლა აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.**

შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან. სკოლა ავრცელებს აღნიშნულ ინფორმაციას. სკოლაში პერიოდულად იმართება საინფორმაციო ტიპის შეხვედრების სკოლის ექიმისა და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლების ჩართულობით. ასევე, სკოლაში წახალისებულია საკოლო პროექტები და აქტივობები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: ა) ძალადობა და ოჯახში ძალადობა; ბ) დისკრიმინაცია; გ) ბულინგი და კიბერბულინგი; დ) ჯანსაღი ცხოვრების წესი. საპილოტე პროგრამის ფარგლებში სკოლაში საქმიანობს 2 სოციალური მუშაკი, რომლებიც პერიოდულად ატარებენ აქტივობებს. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას ურუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარულ-ჰიგიენური რესურსების გამოყენებით. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,დასუფთავების წესების, პერიოდულობის, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების წესი'', რომელიც ითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლა ფლობს ინფორმაციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინი) შესახებ ,,წყალი, სანიტარია, ჰიგიენა სკოლაში''. სკოლაში დასაქებულია 6 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის საჭირო რესურსების შესაძენად. სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.4.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც დაკონკრეტებულია პირები, რომლებსაც წვდომა აქვთ პერსონალურ მონაცემებზე და საზღვრული თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ (მაგალითად: ბუღალტრის მიერ, საქმისმწარმოებლის მიერ და სხვა). **გარდა ამისა,** სკოლას განსაზღვრული ჰყავს პირი, რომელსაც ევალება პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის დაცვის მონიტორინგი. თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია თუ რა ინფორმაციის დამუშავებაზე აცხადებს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას.

შესაბამისად, 3.4.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ადმინისტრაციის სამუშაო კომპიუტერებს, სადაც ინახება პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციები, ადევს პაროლი, რომლის გამოყენებაც შეუძლია მხოლოდ იმ თანამშრომელს, რომლის სამუშაოდაც არის განკუთვნილი. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და ელექტრონულ პროგრამებს. **შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- 2019 წლის 16 ივლისის N899 მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სახელზე გაგზავნილი სკოლის წერილები სახანძრო სიგნალიზაციის და ავარიული განათებების მონტაჟის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადებისთვის თანხის მოთხოვნის თაობაზე;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და კონტროლზე პასუხიმსგებელი პირის ბრძანება;
- რეფერირების შიდა ინსტრუქცია და რეფერირებაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება;
- პროექტი ბულინგის თემაზე;
- დასუფთავების პერიოდულობის, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 3850.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 3917.52 კვ.მ.
   სკოლის შენობა ოთხ სართულიანია. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. შენობაში განთავსებულია დირექციის კაბინეტები, კანცელარია და ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, რესურსოთახი, საკლასო ოთახები (ბუნებრივი განათებით), მომავლის კლასი, სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი, სამეურნეო სათავსეობი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი

(1 გასახდელით), სააქტო დარბაზი და საპირფარეშოები. საპირფარეშოები განთავსებულია ყველა სართულზე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი.

სკოლაში არ არის ადაპტირებული საპირფარეშო და გამიჯნული გასახდელები გოგონებისა და ვაჟებისთვის. სპორტდარბაზისა და მიმდებარე ოთახების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ფართი იძლევა გასახდელების მოწყობის საშუალებას. ***შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა გოგონებისა და ვაჟებისთვის მოაწყოს ცალ-ცალკე გასახდელი ოთახები.***

საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. საკლასო ოთახების ნაწილში დამონტაჟებულია პროექტორები, ხოლო ნაწილში საჭიროებისამებრ გამოიყენება გადასაადგილებელი პროექტორები. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, სკამებით, კარადებით და კომპიუტერებით. სააქტო დარბაზში არის სკამები, მუსიკალური ინსტრუმენტი და სცენა.

კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი.

სკოლა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით და პროექტორებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება ვარგის მდგომარეობაში არსებული 1311 ინდივიდუალური მერხი და სასწავლო პროცესი ხორციელდება 2 ცვლაში.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაჩინოებებით და სხვა საჭირო ნივთებით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ხელსაბანი ნიჟარა და უზრუნველყოფილია წყლით. ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა და გამწოვი კარადა, რომლის გარეშეც აკრძალულია გარკვეული ცდების ჩატარება. ლაბორატორიაში არსებული მერხების ზედაპირები არ იძლევა ცდების ჩატარების საშუალებას, შესაბამისად, ლაბორატორიაში შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ სადემონსტრაციო ცდები. ***სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მოაწყოს გამწოვი კარადა და სავენტილაციო სისტემა. ასევე, აღჭურვოს ისეთი ზედაპირის მერხებით/მაგიდით, რომლის ზედაპირიც მისცემს საშუალებას ჩატარდეს ცდები ერთდროულად ყველა მოსწავლის მიერ.***

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **შესაბამისად, 3.5.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დირექციასთან გსაუბრებით, სკოლის მიერ ჩატარებული ღონისძიებებითა და გაკვეთილის გეგმების გაცნობით დადგინდა, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები

სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს და სხვა რესურსებს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, წიგნების გაცემის წესი და სხვა. სასწავლო რესურსების კატალოგი და წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლოთეკო წარმოების წესისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულების შესაბამისად. სკოლის სამასწავლებლოში შექმნილია სამუშაო პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელშიც აღწერილია სკოლის ლაბორატორიებით სარგებლობის მიზნები და ამოცანები, სარგებლობის წესი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სკოლის რესურსოთახში განთავსებულია საჭირო რესურსები სსსმ მოსწავლეებისათვის. **თუმცა ვინაიდან სკოლას არ აქვს პანდუსი/ლიფტი, სკოლა ვერ უზრუნველყოფს სასკოლო რესურსების სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომობას.**

3.5.1(2) ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.10.2023-დან 16.10.2024-მდე პერიოდი. სკოლამ თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის მიმართვის წერილი პანდუსის/ლიფტის მოწყობის თაობაზე და სააგენტოს პასუხი, რომლითაც დგინდება, რომ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნება სკოლის პანდუსის/ლიფტის მოწყობა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, კერძოდ შშმ პირებისთვის/სსსმ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება" შეფასდა როგორც „შეესაბამება".

3. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილები, ასევე არ არის პანდუსი/ლიფტი, შესაბამისად, სკოლა ვერ ქმნის სწავლებისათვის ინკლუზიურ გარემოს. **3.5.1(2) ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 16.10.2023-დან 16.10.2024-მდე პერიოდი. სკოლამ თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის მიმართვის წერილი ადაპტირებული სველი წერტილებისა და პანდუსის/ლიფტის მოწყობის თაობაზე და სააგენტოს პასუხი, რომლითაც დგინდება, რომ მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნება სკოლაში ადაპტირებული სველი წერტილებისა და პანდუსის/ლიფტის მოწყობა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ადაპტირებული სველი**

წერტილებისა და პანდუსის/ლიფტის მოწყობა და ინკლუზიური გარემოს შექმნა. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება" შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

4. დირექციასთან გასაუბრებითა და სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა ღონისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სააქტო დარბაზს, კერძოდ, სააქტო დარბაზში ხშირად იმართება პროექტების პრეზენტაციები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ლიტერატურული ღონისძიებები. მოსწავლეები სკოლაში აწყობენ სხვადასხვა კულტურულ, სახელოვნებო და შემეცნებით ღონისძიებებს. შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს, სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას და **ინდიკატორი 3.5.1(4) დაკმაყოფილებულია.**
5. საგანმანათლებლო რესურსებად სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც გადაცემული აქვს მოსწავლეებისათვის. სკოლას აქვს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებიც (მათ შორის, ელექტრონული), სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება. სკოლას ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს სასკოლი სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული საკითხავი ლიტერატურა სულ შედგება 491 ერთეული წიგნისგან. ***შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება.***

სკოლა მოსწავლეებს პირველი კლასიდან გადასცემს პორტაბელურ კომპიუტერებს.

დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, შესაბამისად, 3.5.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სახელზე გაგზავნილი სკოლის წერილი სკოლაში ლიფტის/პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის შესახებ და მიღებული პასუხი;
- ლაბორატორიისთ სარგებლობის წესი;

- სკოლაში განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები;
- ფოტოები სოციალური ქსელიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბალანსზე ირიცხება მოხმარებისთვის ვარგის მდგომარეობაში არსებული 75 პერსონალური კომპიუტერი, საიდანაც 24 არის პორტაბელური კომპიუტერი (მათ შორის მომავლის კლასში არის - 13 კომპიუტერი, ადმინისტრაციისთვის განკუთვნილია - 5 კომპიუტერი, ექიმის კაბინეტისთვის - 1 კომპიუტერი, ხოლო მასწავლებლებისთვის გადაცემულია - 23 პორტაბელური კომპიუტერი). სკოლას ასევე აქვს 19 პროექტორი. სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი კომპიუტერები

განლაგებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს IT სპეციალისტი. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც ასევე განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნიკის დაცვაზე. სკოლაში არის ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერითა და სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა.

დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და 3.6.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. როგორც სკოლის დირექციასთან და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას. ასევე, მასწავლებლები სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას. აღნიშნული დასტურდება გაკვეთილის გეგმებითა და განხორციელებული პორექტებით/ღონისძიებებით. გარდა ამისა, I-IV კლასის მსოწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცეში. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელშიც აღწერილია კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების მიზნები და ამოცანები, სარგებლობის წესი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შესაბამისად, დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და 3.6.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობების აქტები;
- განხორციელებული პროექტები და ჩატარებული გაკვეთილები რესურსების გამოყენებით;
- ლაბორატორიის გამოყენების წესი;
- ბრძანება კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- საინფორმაციო მენეჯერის ხელშეკრულება.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის შესაბამისადაც, საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლის საქმისმწარმოებელს მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. საქმისწარმოების წესში გაწერილია დოკუმენტაციის მომზადების, გაფორმების, აღრიცხვის, გამოყენების და შენახვის რეგულაციები. საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების სისტემის გამართულად მუშაობას, აწარმოებს და სპეციალურ ჟურნალებში აღრიცხავს სასკოლო დოკუმენტაციას, უზრუნველყოფს მოსწავლეთა მობილობისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, ამუშავებს შემოსულ კორესპოდენციას და სხვა.

   ვინაიდან სკოლასი მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოწბის წესი, ინდიკატორი 3.6.2(1) დაკმაყოფილებულია.
2. სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებითა და ელექტრონული ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow.emis.ge) საშუალებით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების).

   სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას აქვს

საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია/კორექტირება.

პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge.

გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: tbilisi52@mes.gov.ge. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, **შესაბამისად, ინდიკატორი 3.6.2(2) დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული აუცილებელი მონაცემები სკოლის ბარათზე. ბაზაში ასახულია სკოლის ცხრილი, შერჩეული სახელმძღვანელოები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. **შესაბამისად, ინდიკატორი 3.6.2(3) დაკმაყოფილებულია.**
4. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ასევე სკოლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. სკოლის დირექციასთან გასაიბრებით დადგინდა, რომ ფლობენ ინფორმაციას ყველა იმ საქმინობის შესახებ, რომელსაც სჭირდება მაკონტროლებელი ორგანოების თანხმობა (იჯარა, სარგებლობაში გადაცემა და სხვა). აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თანხმობის წერილებითა და საარჩევნო კომისიისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის თანხმობის წერილებით. სკოლა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას ყოველი წლის 10 დეკემბერს აწვდის საქართველოს მთავრობას, პარლამენს, საკანონმდებლო მაცნესა და პრეზიდენტს. **შესაბამიად, ინდიკატორი 3.6.2(4) დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- არქივზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;

- სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 7 დეკემბრის ოქმი ანგარიშების წარდგენაზე;
- საჯარო ინფორმაციის მიწოდების თაობაზე 10 დეკემბრისთვის გაგზავნილი ანგარიშები გაგზავნილი პრემიერ მინისტრთან, საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს პრეზიდენტთან და პარლამენტთან;
- იჯარით ფართის გაცემის თანხმობის წერილები;
- სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ს, Eflow.emis.ge-სა და procurement.gov.ge-ს სისტემაში. სკოლის ელექტრონული ფოსტა tbilisi52@mes.gov.ge.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააქტიურებული აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ვებ-გევრდი დამუშავების პროცესშია და მას საკომუნიკაციო არხის ფუნქციით აქტიურად გამოიყენებს ახალი სასწავლო წლიდან. სკოლას აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია სასკოლო აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად

იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **ვინაიდან სკოლას ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით, შესაბამისად, ინდიკატორი 3.6.3(1) დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაია, რომელიც განთავსდება სოციალურ ქსელში და ვრცელდება სკოლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით, თანხმდება სკოლის დირექციასთან. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო და ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი აგროვებს განსათავსებელ ინფორმაციას და მხოლოდ დირექციასთან შეთანხმების შემდეგ ხდება მისი გამოქვეყნება. **შესაბამისად, 3.6.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის საკომუნიკაციო არხებს ამ ეტაპზე წარმოადგენს სოციალური ქსელი (facebook), სხვადსხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, სადაც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაცია თავს იყრის დირექტორთან, მუშავდება და ხდება შემდგომი რეაგირება. სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოებისაგან ელექტრონული არხებით (კითხვარები, რომლისთვისაც იყენებს Google Forms, Microsoft Forms) უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.6.3(3) დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული ვებ-გვერდი, რომელზეც სკოლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. **შესაბამისად, 3.6.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე არ იყო განთავსებული სტანდარტით გათვალისწინებული აუცილებელი ინფორმაცია სკოლის შესახებ: დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. **3.6.3(5) ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც სტატუსად მითითებულია,,შესრულებული". ვებ-გვერდის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაციის უმეტესი ნაწილი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება" შეფასდა როგორც ,,შეესაბამება". *სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს და შეავსოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი **https://skolebi.emis.ge/schools/186**
- სკოლის ფეისბუქ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. სკოლის ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან (იჯარებისა და წრეების ფუნქციონირებიდან, ასევე ბანკის სარგებელი). სკოლას ასევე ერიცხება სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე მასწავლებელთა დანამატები. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ და საოფისე ხარჯზე, საოფისე

ხარჯებზე. სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოეყოფა დამატებითი მიზნობრივი დაფინანსება ექიმის კაბინეტის ფუნქციონირებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვი სწავლების ხელშეწყობის მიზნით და გერმანიის რესპუბლიკის საზღვარგარეთ გერმანული ენის სწავლების პროექტის ფარგლებში. **დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.7.1(1) დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ბიუჯეტის, სამეურვეო საბჭოს ოქმებისა და შესყიდვების წლიური გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ დეკემბრის ბოლომდე და წლის განმავლობაში ხდება მისი დაზუსტება რეალური შემოსავლების მიხედვით. შესაბამისად, სკოლის ყოველი შემოსავალი და ხარჯი ასახულია სკოლის ბიუჯეტში. როგორც სკოლი დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლის დირექციის მიერ ხდება ანალიზი წლის განმავლობაში მისაღები შემოსავლებისა და გასაწევი მიახლოებითი ხარჯების შესახებ, რის შესაბამისადაც დგება ბიუჯეტის პროექტი. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი ასახულია სკოლის ბიუჯეტის პროექტში, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საჭიროების დადგომის შემთხვევაში, სამეურვეო საბჭოს სკოლის დირექტორი წარუდგენს ბიუჯეტის ცვლილების პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით ყოველწლიურად სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენის ეტაპზე აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საგნობრივი კათედრები, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კორდინატორი, ექიმი. სკოლა ახორციელებს ბაზრის კვლევას შესასყიდ საქონელსა თუ მომსახურებაზე.
სკოლამ დამტკიცებული აქვს შესყიდვების განხორციელების შიდა წესი, რომლის შესაბამისადაც უზრუნველყოფს წლიური შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებას. სკოლას განსზღვრული ჰყავს შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არის სკოლის ბუღალტერი. სკოლა საჭიროებისამებრ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით ახორციელებს შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილებას და აღნიშნულის შესყიდვების გვერდზე ასახვას.

სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს ოქმითა და

დირექტორის ანგარიშით. სამეურვეო საბჭოზე განხორციელებული ანაგირიშის თანახმად, ბიუჯეტის ხარჯვა ხდება რაციონალურად და კანონმდებლობის შესაბამისად. **დგინდება, რომ სკლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტმა და ინდიკატორი 3.7.1(2) დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესყიდვების წლიური გეგმა;
- შესყიდვების განხორციელების წესი;
- სამსახურეობრივი ბარათები საჭიროებებისა და ბაზრის კვლევაზე;
- შესყიდვების გეგმის რეგისტრაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- შესყიდვების გეგმის ცვლილების ამსახველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის ანგარიშზე.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვას ახორციელებს სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებისა და იმ ღონისძიებების ერთობლიობით, რასაც ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. სკოლა ახორციელებს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების დაცვას. მშობელს შეუძლია წინასწარ შეთანხმებით შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას ინდივიდუალურად ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასევე მშობელთა კრებებზე. აღნიშნული რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლას ჰყავს დარაჯი, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, მანდატურები, შემუშავებული აქვს სართულებზე მორიგეობის განრიგი, რსურს-ოთახით სარგებლობის განრიგი. სკოლას დამტკიცებულია აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, ლაბორატორიის გამოყენების წესი. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას ახორციელებენ შესაბამისი სქესის მანდატურები მეტალოდეტექტორების მეშვეობით. სკოლას შემუშავებული აქვს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის მარეგულირებელი წესი და განსაზღვრული ჰყავს თამბაქოს მოხმარების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები. სკოლას დამტკიცებული აქვს ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ, ასევე სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესი, ასევე შექმნილი ჰყავს შესაბამისი ჯგუფი. აღნიშნულ წესში გაწერილია ჯგუფის ფუნქციები და მუშაობის სტრატეგია. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.1(1) დაკმაყოფილებულია.**
2. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს საორგანიზაციო საკითხებს, სადამრიგებლო პროგრამის ჩატარების განრიგს, მასწავლებლებს, დაგეგმილ აქტივობებს

უსაფრთხოების წესებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. აღნიშნული დასტურდება დამრიგებლის პორტფოლიოებით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები აწყობენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, რომელზეც აცნობენ კადემიურ მოსწრებასა და დისციპლინასთან დაკავშირებულ მნიშავნელოვან საკითხებს. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოქვეყნება. როოგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლაში პერიოდულად ტარდება ღონისძიებები მოსწავლეთა უფლებებთან დაკავშირებით, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები კლასის დამრიგებლები და დირექცია, გამოკრულია პოსტერები, რიგდება საინფორმაციო ბროშურები, ცხელი ხაზისა ნომრები შესაბამისი ნიშნულებით გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.1(2) დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, აგრეთვე სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის N103/ნ ბრძანებით დადგენილი წესით. ხელშეკრულებებში გაწერილია მშობლის/ მოსწავლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მომსახურების გაწევის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მაგალითად როგორიცაა პერსონალური მონაცემების დამუშავება. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.1(3) დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ;
- სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის წესი. აღნიშნული წესი ეფუძნება მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს. საფეხურისა და კლასის დაძლევა აგრეთვე რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც დამრიგებლების მიერ გაეცნობა მოსწავლეებსა და მშობლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების ბრძანებებში მითითებული იყო ძალადაკრგული ნორმატიული აქტი, თუმცა სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმებით, მათ შორის გაასწორა იმ ბრძანებების სამართლებრივი საფუძვლები, რომლებშიც შეცდომა იყო დაშვებული. ***სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის წესში, სტატუსის შეჩერების საფუძვლებში დაამატოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, კერძოდ: სკოლა ვადებულია დაწყებითი, საბაზო, და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს სტატუსი, თუ სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.***

   შესაბამისად, 4.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანებებითა და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 4 ეტაპად. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვადასხვა კლასში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე, წინმსწრებ კლასში განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (მაგ: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, ექსტერნით წინა კლასების დაძლევა). მობილობისა და სტატუსის შეჩერებაც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმების შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებით. საფეხურისა და კლასის დაძლევის საკითხი განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და გამოცემულია შესაბამისი ბრძანებები. შედეგად დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და შეწყვეტის პროცედურებს და **შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.2(2) დაკმაყოფილებულია.**

3. დამრიგებლების პორტფოლიოებით დასტურდება, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. სკოლას ინფორმაციის გასავრცელებლად აქტიურად იყენებს ჯგუფებს სოციალურ ქსელში. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, მაგალითად მეორე უცხოური ენის არჩევის დროს, სავალდებულო პროექტული სწავლების შეთავაზების დროს. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.1.2(3) დაკმაყოფილებულია.**
4. დირექციასთან გასაუბრებითა და დამრიგებლების პორტფოლიოს შესწავლით დადგინდა, რომ მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, დირექციასთან შეთანხმებით. სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. ასევე, საინფორმაციო დაფაზე ხდება ინფორმაციის გამოქვეყნება. **შესაბამისად, 4.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის წესი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, კლასის დაძლევის ამსახველი ბრძანებები;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი, ახალი მოსწავლის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნას მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას. დოკუმენტში აღწერილია პირველკლასელთა ადაპტაციის პროცედურა, სსსმ მოსწავლის ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია. წესი განსაზღვრავს წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს და რეკომენდაციებს. დოკუმენტი აღწერს დეზადაპტაციის ნიშნების შემთხვევაში რა უნდა მოიმოქმედოს სკოლამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. როგორც გასაუბრებით დადგინდა, პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლეების მშობლებთან პედაგოგი სასწავლო წლის დაწყებამდე ატარებს გასაუბრებას, ხოლო მობილობის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი ატარებს შესაბამის საუბრებს როგორც მოსწავლესთან, ასევე მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან იმისათვის, რომ დაადგინოს დეზადაპტაციის ნიშნები და მოსწავლეს გაუადვილოს სასწავლო გარემოში ადაპტაცია. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.1(1) დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ადმინისტარციის განმარტებით, სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა ზრუნვას იწყებს სასწავლო წლის დაწყებისთანავე. ამ მიზნით პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ეწყობა საზეიმო მიღება, ხდება მათთვის სკოლის გაცნობა. სკოლა მოსწავლეებს ათვალიერებინებს სკოლის შენობას, აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას და უხსნის როგორ გამოიყენოს გარემო ოპტიმალურად. სასკოლო გარემოს გაცნობის ღონისძიებებს სკოლა მიმართავს მობილობით გადმოსულ და ახლად ჩარიცხულ მოსწავლეებთან მიმართებითაც. სკოლა მოსწავლეებთან ასევე აწყობს ინდივიდუალურ შეხვედრებს და გასაუბრებას, მათ უკეთ გასაცნობა. სკოლა აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე,

გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. სკოლაში დასაქმებულია ინკლუზიუ განათლებაში ჩართული სპეციალისტები. ისინი, სასწავლო წლის დაწყებისთანავე, საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების უნარების განვითარებაზე. დამრიგებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი მათი ინიციატივები და ხელი შეეწყობათ მათი ინტერესების შესაბამისად საკლუბო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.1(2) დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა პრიორიტეტად მიიჩნევს იმ მოსწავლეთა დახმარებას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას. გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენის შემთხვევაში მასწავლებლები უზრუნველყოფენ ჯგუფური ან და ინდივიდუალური გაკვეთილების ჩატარებას. ასევე, ექსტერნატის, საშემოდგომო და წლიური გამოცდის შემთხვევაში, საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით. დამრიგებლის პორტფოლიოთი დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მუდმივად ინდივიდუალურ ინფორმირებას დამრიგებლის მეშვეობით, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით) იმისათვის, რომ დროულად მოხდეს სკოლის მხრიდან დახმარების გაწევა. კლასის დონეზე ხორციელდება მოსწავლეთა აკდამიური მოსწრების ანალიზი, რომლის საფუძველზეც იგეგმება გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. სკოლის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესი ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და დახმარების როცესის ხელშეწყობას. **დგინდება, რომ ინდიკატორი 4.2.1(3) დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სივრცეებს სასკოლო ღონისძიებების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. თუ მოსწავლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით ვერ ახერხებს სკოლაში სიარულს, რაც დასტურდება ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობით, სკოლა სთვაზობს მას შინ სწავლების მომსახურეობას, რაც დასტურდება სათანადო ბრძანებით. დროულად დგება სამუშაო გრაფიკი, მომსახურების ფორმა (დისტანციური/ბინაზე მისვლით). სკოლის მიერ დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესის თანახმად, სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციებშიც შედის მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და ხელშეწყობა, მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, ინფორმაციის დორულად

მიწოდება სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობებთან დაკავშირებით და სხვა სახის ჩართულობა მოსწავლის უფლების რეალიზებისთვის. **შესაბამისად, დგინდება, რომ ინდიკატორი 4.2.1(4) დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები, საქველმოქმედო აქციები, ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში, გამწვანების აქციები, შეჯიბრებები და სხვა. კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მოსწავლეთა ინიციატივებს. კერძოდ, სკოლაში დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის მიზნით ფუნქციონირებს წრეები. 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება შემდეგი წრეების გახსნა: გახანგრძლივებული დღის ჯგუფი, სუმატო - მენტალური არითმეტიკა და ჭადრაკი. წრის მასწავლებლებად სკოლა მოიწვევს შესაბამისად კვალიფიციურ კადრს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითთმამართველობა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მასწავლებლების მხარდაჭერით დაარსებულია ბუნების მეგობრების ეკოკლუბი და ქართულიენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მხარდაჭერითა და ესთეტიკის კათედრასთან ინტეგრირებით ხორციელდება პროექტი „რატომ და როგორ მოგვითხრობენ ამბავს მხატრული და მულტიმედიური ტექსტები“. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობისა და კლასის დამრიგებლების ინიციატივით ყოველწლიურად ხორციელდება საქველმოქმედო აქციები. მაგალითად „ჩვენც მოვხუცდებით“ მოსწავლეები აქციის ფარგლებში ეწვივნენ მოხუცთა თავშესაფარს აგრეთვე მრავალშვილიან ოჯახს და მათ გადასცეს ტკბილეული და საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთები. სკოლაში განხორციელდა პროექტები, როგორიცაა „ვირჩევთ და ვსწავლობთ ერთობას“, „იმოქმედე ლოკალურად, რომ გადარჩე გლობალურად“ , „ჯანსაღი ცხოვრება -ჯანსაღი მომავალია“. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ ორგანიზებულ 76-ე სასწავლო კვლევით კონფერენციაში „The sooner the better “ Welcome in the World international Geography Olympic ორგანიზაციის და განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული საერთაშორისო გეოგრაფიულ ოლომპიადაში. ასევე, ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის, პროკრედიტ ბანკისა და გაეროს გლობალური შეთანხმების პროგრამის „მდგრადი განვითარება სკოლებისთვის'' პრექტში. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.1(5) დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების გასარკვევად დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს და მოსწავლეებისგან მიღებული ვერბალური უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. ***სკოლას მიეცა რჩევა, სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული საჭიროებების დადგენისა და უკუკავშირის გათვალისწინების მიზნით,***

კვლევა აწარმოოს ანონიმური კითხვარების მეშვეობით და ანალიზის შედეგად საჭიროებების დადგენას მისცეს წერილობითი ხასიათი. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.1(6) დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი;
- მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის წესი.
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სოციალური ქსელის დათვალიერება;
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც გასაუბრებით დადგინდა, სკოლა მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების განვითარებაში. სკოლამ კოლეჯ ,,პრესტიჟთან'' გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც იგეგმება სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული განათლების შეთავაზება და დასაქმების შესაძლებლობების გაცნობა. არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლა პერიოდულად იწვევს სხვადასხვა პროფესიაში წარმატებულ ადამიანებს და რომლებიც

მოსწავლეებს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. სკოლას სტუმრობენ სხვადასხვა კოლეჯების წარმომადგენლები და სთავზობენ ისეთ პროფესიულ უფასო პროგრამებს, როგორიცაა: კონდიტერია, სერვისი და სერვირება, ელექტროობა, სურსათის უვნებლობა, კომპიუტერული ტექნოლოგიები და გრაფიკული დიზაინი. გრაფიკული დიზაინისა და კომპიუტერული ტექნილოგიების კურსი გაიარა სკოლის 12 მოსწავლემ, მათ შეისწავლეს Adobe Photoshop, Adobe Ilustratoris ძირითადი მახასიათებლები და ფუნქციები. მოსწავლეებმა შეისწავლეს ბანერების, კლიპების, სარეკლამო მასალების დამზადება და შექმნეს საკუთარი ნამუშევრების პორტფოლიო. სკოლის ორგანიზებით, მოსწავლეები სტუმრობენ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებს, აქვთ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრები. საბაზო საფეხურის მოსწავლეები იყვნენ თსუ-ში, სადაც დაესწრნენ ლექციებს და გაეცნენ პროფესიებს. დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში უზრუნველყოფენ მოსწავლეთათვის მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. პროექტის ფარგლებში „დემოკრატია იწყება სკოლაში", დაგეგმილია პროფესიული ორიენტაციის პროექტი, გაწერილია შესაბამისი აქტივობები. საპილოტე რეჟიმში უკვე განხორციელდა 1-2 აქტივობა: სკოლაში მოწვეული იყო მოსწავლეების ინიციატივით რეჟისორი, რომელმაც გააცნო რეჟისორისა და სცენარისტის პროფესია, რომლის მიმართაც მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოხატეს. **ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.2(1) დაკმაყოფილებულია.**

2. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, სკოლა მოსწავლეებს/მშობლებს იფორმაციას აწვდის პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და აცნობს მათ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. სკოლა ხელს უწყობს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან სხვადასხვა პროფესიის სტუდენტებისა და ლექტორების სკოლაში სტუმრობას და შეხვედრას საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან როგორც სკოლაში მოწვევით, ასევე უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტით. სკოლაში შემუშავებულია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის და კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის, საკონსულტაციო მომსახურების გაწევის და დამატებითი აქტივობების განხორციელების წესს. აღნიშნულის სერვისის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი პიროვნული მახასიათებლების, მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, აირჩიოს მომავალი პროფესია. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.2(2) დაკმაყოფილებულია.**

3. დადგინდა, რომ მოცემულ ეტაპზე სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების ზეპირი შეფასების შედეგებს. წინა წლის გამოცდილებისა და მოსწავლეთა/მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლაში იგეგმება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიზნით განსახორციელებელი

დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც დაგეგმავს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, ასევე შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სერვისის გაუმჯობესებასა და დახვეწას. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.2(3) დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორნადუმი კოლეჯ ,,პრესტიჟთან''.
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მექანიზმების მარეგულირებელი წესი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების სერვისებთან დაკავშირებით და სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე ეროცხებოდა 19 სსსმ მოსწავლე, რომელიც როგორც სკოლის დირექციამ განმარტა მზარდია. სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით ქმნის შესაბამის ჯუფებს და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადაში ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმების შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების დამოქმედო გეგმა. ისგ ჯგუფები პერიოდულად იკრიბებიან და იხილავენ კონკრეტულ სსსმ მოსწავლეთან

დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმითა და ისგ ჯგუფების ოქმებით. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.3(1) დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ისგ ჯგუფები, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულის სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. ისგ ჯგუფის კოორდინატორის მიერ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე წლის ბოლოს წარმოდგენილ იქნა ანგარიში. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.3(2) დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს გახანგრძლივებულ, ჭადრაკის და სუმატო-მენტალური არითმეტიკის წრეებს, რომლებსაც არ სჭირდება მარეგულირებლის მხრიდან თანხმობა. სკოლამ განმარტა, რომ იჯარით ფართის გადაცემის შემთხვევაში, მომსახურების მიწოდება ხორციელდება მაკონტროლებლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინასწარი თანხმობით. სკოლას იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემული აქვს ფართი სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით, რომელიც რეგისტრირებულია ეკომონიკურ საქმიანობათა რეეესტრში და აქვს საქმიანობის განხორციელების შესაბამისი სერტიფიკატი. **შესაბამისად, ინდიკატორი 4.2.4(1) დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს. სკოლამ განმარტა, რომ სურვილის შემთხვევაში, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება. **შესაბამისად, 4.2.4(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მოსწავლეებისათვის დამატებით მომსახურეობა, რომელიც ფუნქციონირებს წრეების სახით, ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესებით უსაფრთხოების ყველა მექანიზმის დაცვით. სკოლამ განმარტა, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მუდმივად აკონტროლებს სამუშაოს განხორციელების პროცესს. სასკოლო კვები ობიექტის ფუნქციონირების მიზნით გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება ითვალისწინებს უსაფრთხოების პირობების დაცვის ვალდებულებას, რომეიც მოწმდება სკოლის მხრიდან. **შესაბამისად, 4.2.4(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის თანხმობები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საწრეო მუშაობის მასალები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება. კურიკულუმების შემუშავება ხდება აქტიურ თანამშრომლობით რეჟიმში. მეთოდოლოგიაში არსებობს მექანიზმი, რომლითაც სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ, მშობელთა კრებებისა და მათთან ინტერვიუების საშუალებით. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები, ინტერესები და შეხედულებები. მასწავლებლები, კათედრების წევრებთან ერთად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, ითვალისწინებენ იმ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრები და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს, აღნიშნული კი თავისთავად აისახება კურიკულუმში. სასწავლო წლის დასაწყისში ხდება მშობლებთან შეხვედრა და აცნობენ მათ სამომავლო გეგმებს, თუ როგორ წარიმართება დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი. კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად სკოლის მიერ გამოიყენება აგრეთვე, შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა - tbilisi52@mes.gov.ge; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა - eflow; სოციალური მედია - https://www.facebook.com/profile.php?id=100007906335945; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან). **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნულია ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის (მაგ. სასკოლო პროექტში ,,ჯანსაღი ცხოვრება-ჯანმრთელი მომავალი", აქტიური მონაწილეობა, ინტეგრირებული პროექტი:,,იმოქმედე ლოკალურად რომ გადარჩე გლონალურად", ,,კადრით და მუსიკით მოთხრობილი ამბავი'', ,,ყველა ბავშვი ხელოვანია ''), შემოქმედებითი აქტივობების, გამოფენების, შემეცნებით-ინტელექტუალური თამაშების, ვიტორინების გასვლითი გაკვეთილების,ინტეგრირებული აქტივობების, სადამრიგებლო საათების, ურთიერთდასწრებების („კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი) განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში.

   აღსანიშნავია ის, რომ სასკოლო ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ის მუდმივად ახალისებს მოსწავლეთა იდეებს სხვადასხვა პროექტში ჩართულობით. მასწავლებლები და დირექცია სასწავლო აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მშობლებთან თანამშრომლობა ხდება კომპლექსური დავალებების შერჩევის, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესშიც. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო პედაგოგიური საზოგადოების მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წლის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებს მუშაობა, სკოლაში მიმდინარე მმართველობითი და დამხმარე პროცესები). ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან კათედრების წევრები და სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულიმის შედგენისას ისინი ითვალისწინებენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, მათ შესაძლებლობებს, ინტერესებს, საჭიროებებს. მშობელთა ინტერესებს. განსაზღვრავენ მომდევნო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. თანხმდებიან კომპლექსურ დავალებებზე, ძირითად და დამხმარე რესურსებზე. შეფასების ინსტრუმენტებსა და მოსწავლეთა მხარდამჭერ აქტივობებზე.

   აღსანიშნავია ის, რომ მომავალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და კიდევ უფრო მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, სკოლის ადმინაისტრაციის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მონაცემების დამუშავების საფუძველზე შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ" და „აღსრულებულ" კურიკულუმს შორის. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იგი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მაგ: საგნობრივი და სადამრიგებლო პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი გაწერილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე, მშობლები ინფორმირებულნი არიან

ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების შესახებ და შესაბამისად, მშობელთა ჩართულობა პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურასა და სასწავლო პროგრამების ხარისხზე. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწავლო წელი);*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *არაფორმალური-განათლება დიზაინერის თვალი;*
- *კათედრების სხდომების ოქმები;*
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კურიკულუმები არის მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მასზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას. აღნიშნული წარმოჩნდა მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, გაწერილია კომპლექსური დავალების იდეები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს აანალიზებენ მათ საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევასა და გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის

ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. პედაგოგებმა ასევე ისაუბრეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ისინი დაგეგმავენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. ნიშანდობლივია ის, რომ სკოლაში ხორციელდება მრავალი პროექტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მოსწავლეს განიხილავს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ამისათვის მას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გამოცდილება. მოსწავლეებს სამუშაო ეძლევათ მათი შესაძლებლობების მიხედვით. მრავალფეროვანია შესაქმნელი პროდუქტიც. თვითშეფასებაში სკოლა წერს: **„დაწყებით საფეხურზე** განხორციელდა კვლევა - „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“. საკვლევი თემატიკა მეტად აქტუალურია, რადგან დიფერენცირებული სწავლების პრინციპების დანერგვა მოსწავლეთა დაინტერესების, მოტივირებისა და ლოგიკური აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს; დიფერენცირებული სწავლება ითვალისწინებს სწავლების პროცესში ისეთი მიდგომების დანერგვას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში საბაზისო უნივერსალური უნარ– ჩვევების განვითარებას. სწავლების პროცესში **დაწყებით საფეხურზე** მასწავლებლების მიერ გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ინტერესები. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის იქმნება ინდ. გეგმები. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები (სსსმ მოსწავლის ასისტენტი, სპეციალური განათლების პედაგოგები, ფსიქოლოგი), რომელთა მიერ ხდება მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევა. სკოლაში ნებისმიერ სსსმ მოსწავლეს მიეწოდება ინდივიდუალურ გეგმაში გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსები, მაგ. სპეციალური ფურცლები, სხვადასხვა უნარის განსავითარებელი სავარჯიშოები, მათზე მორგებული დავალებები. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მიზნით, სკოლას შექმნილი აქვს, მონიტორინგის ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც ხდება ინკლუზიური განათლების დახვეწა. **ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას. წარმოდგენილია წერითი დავალების, შემაჯამებელი დავალების, ზეპირიმეტყველების, სასწავლო პროექტის და ა.შ. შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, კონკრეტულ კომპლექსური ბუნების დავალებას. სასწავლო წლის დასაწყისში, საგნობრივ კათედრებზე შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს თემატიკის მიხედვით. წარმოდგენილ რუბრიკებში ჩანს ხედვა, თუ როგორ უნდა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებზე, მეორე მხრივ კი, მკვიდრ წარმოდგენებსა და დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებით.
   დაწყებით საფეხურზე, მოსწავლის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დაკვირვებას აწარმოებს მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ეხმარება მათ დაკვირვება მოსწავლის სწავლის სტილის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლაში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება შეფასების რუბრიკების დახვეწაც. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**
5. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, კათედრებზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აანალიზებენ ხარვეზებს და შესაბამისად აუმჯობესებენ კურიკულუმს. სკოლა აქტიურად იყენებს მიდგომას „კრიტიკული მეგობარი“. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ხდება საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და გამოწვევების ანალიზი. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ეცნობიან საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სიახლეებს, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ ქოუჩების რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთად გეგმავენ ინტერვენციებს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- არაფორმალური-განათლება დიზაინერის თვალი;
- საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის";*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში. შემუშავებული კომპლექსური დავალებები მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. გარდა ამისა, მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასკოლო პროექტებში, საკლუბო აქტივობებში, ღონისძიებებსა და ვიქტორინებში, სადაც მათ ეძლევათ საშუალება, საკუთარი იდეები წარმოაჩინონ შემოქმედებითად. **ინდიკატორი 2.2.1.1დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. ამის მტკიცებულებაა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, გაცვლითი პროგრამა (გერმანულ ენაში), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით შერჩეული კონტექსტ მაგალითები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, შერჩეული თემები წარმოადგენს აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მიღებული ინფორმაცია გარდაქმნას აქტიურ ცოდნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს ხდის ახალს. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ, კვლავ განაგრძონ ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებული.**

3. მასწავლებლები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში წაახალისებენ მეტაკოგნიციას, ხელს უწყობენ მოსწავლის რეფლექსიას, ცდილობენ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას მორგებული. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლების პროცესი საინტერესოა, შეძენილ ცოდნას აკავშირებს განსხვავებულ გამოცდილებასთან, შეიცავს გამოწვევას და მოსწავლის ყურადღებას ამახვილებს საკუთარ მიღწევებზე, ძალისხმევაზე. წარმოდგენილი **დაწყებითი საფეხურის** თემატური მატრიცები და მასში არსებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მოსწავლის მიერ გაკეთებული თვითშეფასება, დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა, გამოცდილება დააგროვა, სწავლების რომელმა სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა სირთულეებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**
4. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მათ ინტერვიუში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) ორიენტირებულობა. კურიკულუმების ჩარჩოებში თემები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხს სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან, გამოყენებულია ელექტრონული რესურსი, მუშავდება ქვესაკითხები ერთმანეთთან კორელაციაში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს კონკრეტული აქტივობები, შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში (მაგ. მოირგებს ექიმის როლს და შეძლებს ჯანსაღი ცხოვრების სტილის პოპულარიზაციას, აღწერას და პრეზენტაციას). მათ მიერ შექმნილი პროდუქტებიდან ჩანს, რომ ისინი ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას (მაგ. სასკოლო პროექტებში ,,ჯანსაღი ცხოვრება-ჯანმრთელი მომავალი“, აქტიური მონაწილეობა, ინტეგრირებული პროექტი: ,,იმოქმედე ლოკალურად რომ გადარჩე გლონალურად“, ,,კადრით და მუსიკით მოთხრობილი ამბავი”, ,,ყველა ბავშვი ხელოვანია ” და სხვ.) არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებში მოსწავლეები შემოქმედებითად უდგებიან აქტივობებს. მათ აქვთ შესაძლებლობა, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, უღრმავდებათ თვითშეფასების უნარი და უფრო ადვილად იმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში. მასწავლებლები სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმონ პირობისეული ცოდნის გააქტიურებას და დამუშავებას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, კომპლექსური და პროექტული ტიპის დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მოცემული კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტების რეალიზების გზებს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. სკოლაში **დაწყებით საფეხურზე** წარმოდგენილია ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და ცდილობენ საგანთა შორის კავშირები მიზნობრივი გახადონ სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაშიც მეტი სიხშირით ჩატარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას ისახავს მიზნად. გამოკვეთილია კომპლექსური დავალების იდეები, შერჩეულია კონტექსტ მაგალითები. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრებს აქვთ მზაობა, სასწავლო პროცესი წარმართონ სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** - სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, **თუმცა არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ:**

სკოლის მიერ გადმოგზავნილ ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები (I და IV კლასები) შეიცავდა ბევრ ხარვეზს, რომლის გამოსწორების მიზნით სკოლაში ვიზიტისას გასაუბრების დროს პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაციები. სკოლის მიერ გასწორებული ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები (I და IV კლასები) არ/ვერ გადმოიგზავნა, შესაბამისად, იმის დადგენა, რომ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, ვერ მოხერხდა.

ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (კოსმოსი) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება/ქვეცნება, კომპლექსური დავალების იდეა, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაოისთვის, თუმცა არ არის მითითებული ძირითადი კონტექსტ - მაგალითი. მესამე ძირითად საკითხთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი ცნება/ქვეცნება. მეხუთე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში არ არის მითითებული სახელმძღვანელო, მეექვსე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებულია სახელმძღვანელო ავტორის გარეშე.

II თემის (ეკოსისტემა) მეექვსე ძირითად საკითხთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ცნება/ქვეცნება

III თემის (მოვლენები ჩვენს გარშემო) მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სახელმძღვანელო ავტორის გარეშე. მესამე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში არ არის მითითებული სახელმძღვანელო, მეექვსე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში არ არის მითითებული სახელმძღვანელო.

ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ენერგია და მისი გარდაქმნა) მეოთხე ძირითად საკითხთან არ არის განსაზღვრული სასწავლო რესურსები.

II თემის (ნარევები და მათი დაყოფის ხერხები) პირველ ძირითად საკითხთან კომპლექსური დავალების იდეაში გაწერილია კომპლექსური დავალების პირობა, რომელშიც არ იკითხება, თუ რომელი შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. მეოთხე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში არ არის მითითებული სახელმძღვანელო.

III თემა (ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა), თემის ფარგლებში არ მუშავდება ხუთივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - სხეული დამუშავების მიღმა არის დარჩენილი.

სკოლას არ აქვს ბუნებისმეტყველების I - IV კლასების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები გაწერილი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, კერძოდ, ისინი არ მოიცავს გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად გაწერილ შესასწავლ ყველა სავალდებულო თემას (სტანდარტის მიხედვით); ბუნებისმეტყველების V – VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილრბში სასწავლო თემაში გამოყოფილ თითოელ კლასტერს არ აქვს მითითებული შესაბამისი სასწავლო რესურსი, სასწავლო რესურსებში მოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს კი - ავტორი, ამავდროულად, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში არ არის განსაზღვრული ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეაში კი - მოსწავლის მიერ შესასრულებელი შემოქმედებითი პროდუქტი.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია 2.2.2(1) ინდიკატორთან მიმართებით, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11.10.2023-დან 29.12.2023-მდე პერიოდი. სკოლას მიეცეს რეკომედაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნვრლყოს ბუნებისმეტყველების I - IV კლასების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილების შექმნა გრძევლადინი მიზნების შესაბამისად, კერძოდ, ისინი უნდა მოიცავდეს გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად გაწერილ შესასწავლ ყველა სავალდებულო თემას (სტანდარტის მიხედვით); ბუნებისმეტყველების V – VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხილრბში სასწავლო თემაში გამოყოფილ თითოელ კლასტერს უნდა ქონდეს მითითებული შესაბამისი სასწავლო რესურსი, სასწავლო რესურსებში მოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს კი - ავტორი, ამავდროულად, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული უნდა იყოს ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეაში კი - მოსწავლის მიერ შესასრულებელი შემოქმედებითი პროდუქტი. შესაბამისად,

ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგროც „მეტწილად შეესაბამება".

2. საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა მოწმობს, იმას რომ პედაგოგები ზრუნავენ არა მხოლოდ სასწავლო მიზნის მიღწევაზე, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე. საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შეძლებს ახალი მასალის დააკავშირებას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, გაიზიარებს და გააცნობიერებს სხვის ღირებულებებს, შეძლებს სხვისი პოზიციის აღიარებას, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, შეძლებს თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარებას. მასწავლებლები მუდმივად აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას თემიდან თემამდე, ირგებენ ფასილიტატორის როლს, საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩენენ დახმარებას მოსწავლეს, რაც ხელს უწყობს ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა თვითრეგულაცია, თვითცნობიერება და სხვა. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლაში მოსწავლეთა ჩართვა სოციალურ პროექტებში, სადამრიგებლო საათები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვადასხვა ღონისძიება.. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. **დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში კი როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. კათედრების მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიაზრებს

მოსწავლეთა შეფასებას ზეპირი პრეზენტაციის, ვერბალური, წერითი მეტყველების, ჯგუფური მუშაობის, თვითშეფასების დროს. შეფასების კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ შეფასება ეხმარება როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს, მოსწავლე უფრო აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლის საჭიროებების მიხედვით დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულები** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, თუმცა ჯერ არ აქვთ შექმნილი შეფასების (არც განმავითარებელი და არც განმსაზღვრელი) რუბრიკები. გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს.

სკოლას არ აქვს შექმნილი შეფასების (არც განმავითარებელი და არც განმსაზღვრელი) რუბრიკები.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია 2.2.2(3) ინდიკატორთან მიმართებით, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11.10.2023-დან 29.12.2023-მდე პერიოდი. სკოლას მიეცეს რეკომედაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნვრლყოს ბუნებისმეტყველების (I - IV და V – VI კლასები) შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) რუბრიკების შექმნა. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგროც „მეტწილად შეესაბამება".

4. სასწავლო პროცესში სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. **დაწყებით საფეხურზე** გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი (V-VIკლ) შეფასება. შეფასება ხდება სისტემატურად. კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში ჩაშლილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეთათვის არის ნათელი და გასაგები. ისინი წინასწარ არიან ინფორმირებულნი, თუ რა ფასდება და რა

კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლები შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. საგნების მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით. ისინი შეფასების რუბრიკებს აცნობენ მოსწავლეების მშობლებსაც. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. დაგეგმილია სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი და დიაგნოსტიკური შეფასების დაფუძნება. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი,შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები,ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები,შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. სკოლაში შექმნილია და მუშაობს ხარისხის განვითარების ჯგუფი. ესწრებიან გაკვეთილებს და ახდენენ დასკვნების განზოგადებას საფეხურის დონეზე. შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა დაგეგმილია 2023 – 2024 სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს: მოსწავლეთა ნამუშევრებს ერთი წლის ვადით, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა უზრუნველყოფს არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლის ადმინისტრაცია აგრეთვე აღრიცხავს და ინახავს ტესტების, წლიური საგამოცდო დავალებების, შემაჯამებელი დავალებებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ ყველა ინფორმაციას. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;

- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები,

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში წარმოდგენილი მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი. პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ხორციელდება საგნობრივი

პროექტები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარი თავის რეალიზების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები - წრეები, მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. სკოლაში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს სწავლასა და განვითარებაში. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს; უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. მასწავლებლები იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სისტემებს. ხელს უწყობენ და ახალისებენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. მოსწავლეთა საჭიროებების მონიტორინგში კი მასწავლებელს ეხმარება მათი შედეგების ანალიზი და მუდმივი უკუკავშირი. სკოლაში ხორციელდება დამატებითი მეცადინეობები, რემედიაცია მოსწავლეებთან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით საჭიროებენ გაკვეთილის შემდეგ დახმარებას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის სადამრიგებლო გეგმები, სადაც ჩანს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები, სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური შეფასებები, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. სკოლა ცდილობს წაახალისოს მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, კოპლექსური ბუნების დავალებების მიცემით. მსგავსი ტიპის დავალებები საშუალებას იძლევა მოახდინონ დიფერენცირებული მიდგომა მისწავლისადმი. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**
3. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და გუნდურობაზე. მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმებზე, დავალებების მოდიფიცირებაზე, შეფასების რუბრიკებზე. ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება მეტიც, თანამშრომლობენ არ მხოლოდ ერთი კათედრის მასწავლებლები, არამედ აქტიური სახე აქვს სხვადასხვა კადერთის წევრთა თანამშრომლობას, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილებითაც დასტურდება. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თანამშრომლობას არა მხოლოდ მასწავლებლებსა და დირექციას, არამედ სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს შორის. მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ჩართონ საერთო პროექტებში და მოსწავლეების მხრიდან აღნიშნულ მიდგომას დადებითი გამოხმაურება აქვს. სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მშობლებთანაც, რაც ზრდის სკოლის თანამშრომლობით კულტურას. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.**
4. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის

შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური კომპეტენციების მხარდაჭერას და გაძლიერებას. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, რაც დადებითად აისახება მათ მოტივაციაზეც. **ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *სკოლის მისია და ხედვა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწავლო წელი);*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*
- *გაკვეთილების გეგმები;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;*
- *კათედრების სხდომების ოქმები;*
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის";*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები;*

- *სადამრიგებლო საათების ამსახველი დოკუმენტები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცალკე პუნქტად გაწერილია სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესი და სკოლის შეფასების სტრატეგია და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა გეგმავს და ახორციელებს სწავლების ხარისხის მონიტორინგს, მოსწავლეების შედეგების კვლევას და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. კათედრები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნან მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ

კურიკულუმის შეფასებასა და მონიტორინგთან დაკავშირებულ კვლევას, რომლის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ ახალ კურიკულუმს. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. კერძოდ, თითოეული მასწავლებელი სასწავლო წლის მანძილზე აანალიზებს მოსწავლეთა მიღწევებს, გამოკვეთს გასაუმჯობესებელ მხარეებს, გეგმავს მისი გამუმჯობესების გზებსა და ვადებს. დაკვირვების პროცესში გამოკვეთილი მიგნებების გაზიარება ხდება სასკოლო კათედრებზე. ამასთანავე, მასწავლებლებიც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებს. მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ. მონიტორინგის მიზანია გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხელი შეუწყოს მომდევნო წლის მიზნების შემუშავებას, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . ამდენად, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული წევრი ემსახურება ერთიან საქმეს - სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო საზოგადოების მიერ გაცნობიერებულია, რომ თითოეეული წევრი ამა თუ იმ საქმეს ასრულებს არა ვალდებულების, არამედ საერთო საქმის სრულყოფის მიზნებიდან გამომდინარე.**ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**
3. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლები აანალიზებენ შეფასებებს, გამოკვეთენ განხორციელებული აქტივობების ძლიერ და სუსტ მხარეებს. კერძოდ, ახდენენ შეფასებას კონკრეტული აქტივობით მიღწეულ იქნა თუ არა მათ მიერ დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგი. სკოლაში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს შეფასების პროცესი. საწყის ეტაპზე ხდება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, დაკვირვების შედეგად გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებზე მიმდინარეობს დეტალური მოკვლევა, ინფორმაციის შეგროვება. საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოების დახმარება და ერთობლივად მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა. თუ გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება მისი მოდიფიცირება და ხელახალი გზების ძება. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის).

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინა შეფასების მრავალფეროვანი ნიმუშები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაწერილია საგნების, კლასების, კომპონენტების მიხედვით და შესაბამისი განმარტებებით. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და დეტალურადაა ასახული სკოლის სასწავლო გეგმაში. დაწყებითი კათედრები შეიმუშავებენ სხვადასხვა აქტივობის ზოგადი შეფასების სქემებსაც. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სკოლაში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. ეს მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ ჰოლისტურად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებმა** დაადასტურეს, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, სკოლა შეფასებას მოახდენს მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით, კერძოდ, მათ მიერ გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, კომპლექსური, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, რათა შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**
2. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლის მიერ მიღებული შედეგები გაანალიზდება სახლის, სკოლის, კლასის, ეზოს, არაფორმალური გარემოს კონტექსტში. მხოლოდ ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნებია რელევანტური. მასწავლებელი მუდმივად იკვლევს, აკვირდება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად გეგმავს ინტერვენციებს, მოსწავლეების სხვადასხვა უნარებისა და

შესაძლებლობების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასება მუდმივ ანალიზზეა დამოკიდებული. მონაცემების შეგროვება, გადახედვა, დასკვნები აუცილებელი მიმართულებებია შეფასების განსახორციელებლად. სკოლაში მასიურად გამოიყენება ანკეტირება, გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფი, დაკვირვება და სხვა. მასწავლებლები ცდლობენ, გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა სკოლას შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომის უზრუნველყოფისა და თითოეული მეთოდის სუსტი მხარეების დაბალანსების საშუალებას მისცემს. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**
4. პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი), ფსიქო - ემოციურ თავისებურებებს. მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მზაობას, ინტერესებს. სსსმ მოსწავლეები და შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებულია კონკრეტული საგნის შინაარსის ათვისების, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, ფორმალური და არაფორმალური გარემო, სასკოლო პროექტები, ითვინინგის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და სხვა. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გაკვეთილების გეგმები;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*

- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეუძლია დაგროვილი გამოცდილება მიმართოს დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლაში მასწავლებელთა მიერ ხდება შემუშავებული კურიკულუმების მონიტორინგი. მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. აღნიშნულის საფუძველზე კი ხდება გადამუშავებული, გაუმჯობესებული კურიკულუმის შემუშავება. კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერისათვის არსებითი მნიშვნელობისაა სკოლაში მასწავლებელთა მიერ ერთმანეთისათვის თავიანთი მიგნებებისა და შედეგების გაზიარება. ამ მიზნით ისინი იკრიბებიან კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებასა და მიგნებებს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას

შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესია. მასზე მასწავლებლები მუდმივ რეჟიმში მუშაობენ. ისინი ითვალისწინებენ როგორც საკუთარი, ისე სხვა კათედრების წინარე გამოცდილებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და ახალი კურიკულუმების შექმნის პროცესში გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შეიმუშავენებენ რეკომენდაციებს კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება. კურიკულუმების შემუშავება ხდება აქტიურ თანამშრომლობით რეჟიმში. მეთოდოლოგიაში არსებობს მექანიზმი, რომლითაც სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ, მშობელთა კრებებისა და მათთან ინტერვიუების საშუალებით. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები, ინტერესები და შეხედულებები. მასწავლებლები, კათედრების წევრებთან ერთად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, ითვალისწინებენ იმ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრები და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს, აღნიშნული კი თავისთავად აისახება კურიკულუმში. სასწავლო წლის დასაწყისში ხდება მშობლებთან შეხვედრა და აცნობენ მათ სამომავლო გეგმებს, თუ როგორ წარიმართება საფეხურზე სასწავლო პროცესი. კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად სკოლის მიერ გამოიყენება აგრეთვე, შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა - tbilisi52@mes.gov.ge; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა - eflow; სოციალური მედია - https://www.facebook.com/profile.php?id=100007906335945; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან). **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნულია ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის, შემოქმედებითი აქტივობების, გამოფენების, შემეცნებით-ინტელექტუალური თამაშების, ვიტორინების გასვლითი

გაკვეთილების,ინტეგრირებული აქტივობების, სადამრიგებლო საათების, ურთიერთდასწრებების („კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი) განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. აღსანიშნავია ის, რომ სასკოლო ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ის მუდმივად ახალისებს მოსწავლეთა იდეებს სხვადასხვა პროექტში ჩართულობით. მასწავლებლები და დირექცია სასწავლო აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მშობლებთან თანამშრომლობა ხდება კომპლექსური დავალებების შერჩევის, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესშიც. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო პედაგოგიური საზოგადოების მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წლის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებს მუშაობა, სკოლაში მიმდინარე მმართველობითი და დამხმარე პროცესები). ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან კათედრების წევრები და სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულიმის შედგენისას ისინი ითვალისწინებენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, მათ შესაძლებლობებს, ინტერესებს, საჭიროებებს. მშობელთა ინტერესებს. განსაზღვრავენ მომდევნო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. თანხმდებიან კომპლექსურ დავალებებზე, ძირითად და დამხმარე რესურსებზე. შეფასების ინსტრუმენტებსა და მოსწავლეთა მხარდამჭერ აქტივობებზე. აღსანიშნავია ის, რომ მომავალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და კიდევ უფრო მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, სკოლის ადმინაისტრაციის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მონაცემების დამუშავების საფუძველზე შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იგი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მაგ: საგნობრივი და სადამრიგებლო პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი გაწერილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე, მშობლები ინფორმირებულნი არიან ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების შესახებ და შესაბამისად, მშობელთა ჩართულობა პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურასა და სასწავლო პროგრამების ხარისხზე. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის

ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწავლო წელი);*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *არაფორმალური-განათლება დიზაინერის თვალი;*
- *კათედრების სხდომების ოქმები;*
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის";*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრებზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები არის მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მასზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას. აღნიშნული წარმოჩნდა მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, პროექტებს (განხორციელებული პროექტები -„მდგრადი განვითარება უკეთესი მომავლისთვის“, „ჯანსაღი ცხოვრება-ჯანსაღი მომავალი”, „დედამიწა შველას ითხოვს“ და სხვა). წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, გაწერილია კომპლექსური დავალების იდეები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს აანალიზებენ მათ საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევასა და გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას,. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. პედაგოგებმა ასევე ისაუბრეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში

ისინი დაგეგმავენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. ნიშანდობლივია ის, რომ სკოლაში ხორციელდება მრავალი პროექტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მოსწავლეს განიხილავს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ამისათვის მას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გამოცდილება. მოსწავლეებს სამუშაო ეძლევათ მათი შესაძლებლობების მიხედვით. მრავალფეროვანია შესაქმნელი პროდუქტიც. დიფერენცირებული სწავლება ითვალისწინებს სწავლების პროცესში ისეთი მიდგომების დანერგვას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში საბაზისო უნივერსალური უნარ– ჩვევების განვითარებას. სწავლების პროცესში მასწავლებლების მიერ გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ინტერესები. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის იქმნება ინდ. გეგმები. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები (სსსმ მოსწავლის ასისტენტი, სპეციალური განათლების პედაგოგები, ფსიქოლოგი), რომელთა მიერ ხდება მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევა. სკოლაში ნებისმიერ სსსმ მოსწავლეს მიეწოდება ინდივიდუალურ გეგმაში გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსები, მაგ. სპეციალური ფურცლები, სხვადასხვა უნარის განსავითარებელი სავარჯიშოები, მათზე მორგებული დავალებები. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მიზნით, სკოლას შექმნილი აქვს, მონიტორინგის ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც ხდება ინკლუზიური განათლების დახვეწა. **ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას. წარმოდგენილია წერითი დავალების, შემაჯამებელი დავალების, ზეპირიმეტყველების, სასწავლო პროექტის და ა.შ. შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, კონკრეტულ კომპლექსური ბუნების დავალებას. სასწავლო წლის დასაწყისში, საგნობრივ კათედრებზე შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს თემატიკის მიხედვით. წარმოდგენილ რუბრიკებში ჩანს ხედვა, თუ როგორ უნდა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებზე, მეორე მხრივ კი, მკვიდრ წარმოდგენებსა და დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებით. მოსწავლის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება,

ურთიერთშეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დაკვირვებას აწარმოებს მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ეხმარება მათ დაკვირვება მოსწავლის სწავლის სტილის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლაში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება შეფასების რუბრიკების დახვეწაც. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, კათედრებზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აანალიზებენ ხარვეზებს და შესაბამისად აუმჯობესებენ კურიკულუმს. სკოლა აქტიურად იყენებს მიდგომას „კრიტიკული მეგობარი“. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ხდება საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და გამოწვევების ანალიზი. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ეცნობიან საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სიახლეებს, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ ქოუჩების რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთად გეგმავენ ინტერვენციებს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- არაფორმალური-განათლება დიზაინერის თვალი;
- საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;

- კათედრების სხდომების ოქმები;
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის";*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში. შემუშავებული კომპლექსური დავალებები მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. გარდა ამისა, მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასკოლო პროექტებში, საკლუბო აქტივობებში, ღონისძიებებსა და ვიქტორინებში, სადაც მათ ეძლევათ საშუალება, საკუთარი იდეები წარმოაჩინონ შემოქმედებითად.**ინდიკატორი 2.2.1.1დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. ამის მტკიცებულებაა საფეხურის კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, გაცვლითი პროგრამა (გერმანულ ენაში), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით შერჩეული კონტექსტ მაგალითები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, შერჩეული თემები წარმოადგენს აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მიღებული ინფორმაცია გარდაქმნას აქტიურ ცოდნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს ხდის ახალს. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ, კვლავ განაგრძონ ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**
3. მასწავლებლები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში წაახალისებენ მეტაკოგნიციას, ხელს უწყობენ მოსწავლის რეფლექსიას, ცდილობენ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას მორგებული. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლების პროცესი საინტერესოა, შეძენილ ცოდნას აკავშირებს განსხვავებულ გამოცდილებასთან, შეიცავს გამოწვევას და მოსწავლის ყურადღებას ამახვილებს საკუთარ მიღწევებზე, ძალისხმევაზე. წარმოდგენილი თემატური მატრიცები და მასში არსებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მოსწავლის მიერ გაკეთებული თვითშეფასება, დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა, გამოცდილება დააგროვა, სწავლების რომელმა სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა სირთულეებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მათ ინტერვიუში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) ორიენტირებულობა. კურიკულუმების ჩარჩოებში თემები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხს სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან, გამოყენებულია ელექტრონული რესურსი, მუშავდება ქვესაკითხები ერთმანეთთან კორელაციაში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს კონკრეტული აქტივობები, შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში მათ მიერ შექმნილი პროდუქტებიდან ჩანს, რომ ისინი ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებში მოსწავლეები შემოქმედებითად უდგებიან აქტივობებს. მათ აქვთ შესაძლებლობა, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, უღრმავდებათ თვითშეფასების უნარი და უფრო ადვილად იმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში. მასწავლებლები სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმონ პირობისეული ცოდნის გააქტიურებას და დამუშავებას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**
5. კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, კომპლექსური და პროექტული ტიპის დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მოცემული კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტების რეალიზების გზებს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. სკოლაში წარმოდგენილია ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და ცდილობენ საგანთა შორის კავშირები მიზნობრივი გახადონ სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაშიც მეტი სიხშირით ჩატარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას ისახავს მიზნად.

გამოკვეთილია კომპლექსური დავალების იდეები, შერჩეულია კონტექსტ მაგალითები. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრებს აქვთ მზაობა, სასწავლო პროცესი წარმართონ სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით** სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, *თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ:*

ფიზიკის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები) მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სამიზნე ცნება „ფიზიკური პროცესი“ შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე, თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

II თემა (თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა), თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - მატერია, ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

III თემა (ძალა და წნევა), თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება ენერგია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

ფიზიკის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

II თემა (სითბური მოვლენები), თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

ფიზიკის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა) პირველ ძირითად საკითხთან (სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში) ქოუჩის მიერ არის მითითებული კომენტარები (ამიტომ აღარ ჩავთვალე საჭიროდ არსებული უზუსტობების დეტალურად გაწერა). თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ენერგია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

ბიოლოგიის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

IV თემის (უჯრედის მეტაბოლიზმი) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია უჯრედული მეტაბოლიზმი და უნდა ეწეროს უჯრედის მეტაბოლიზმი (სტანდარტის მიხედვით).

ქიმიის 8 კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში მოწოდებული კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება ორი სამიზნე ცნების - ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია სამი სამიზნე ცნება - ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები და ქიმიური ბმა).

ბიოლოგიის 8 კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემაში მოწოდებული კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) თემა მითითებულია არასწორად, წერია ადამიანის საყრდენ - მამოძრავებელი სისტემა და უნდა ეწეროს საყრდენ - მამოძრავებელი სისტემა (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად, მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება ერთი სამიზნე ცნების - ჯანმრთელობა და დაავადება მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია სამი სამიზნე ცნება -სტრუქტურა, ფუნქცია, სასიცოცხლო თვისება, ჯანმრთელობა და დაავადება).

მოწოდებული საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების კურიკულუმებიის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავენებ 2023 – 2024 სასწავლო წელს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის, ამავდროულად, სკოლის მიერ გადმოგზავნილია „დამატებითი დოკუმენტაციის“ საშუალებით კომპლექსური დავალებები და ადგილზე ვიზიტის დროსაც ვნახე ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს.

სკოლას მიეცეს რჩევა, რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებული იყოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწერილი იყოს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ცნებასთან განსაზღვრული იყოს შესაბამისი კერძო ქვცენება, გათვალისწინებულ იქნას ქოუჩის მიერ მითითებული

კომენტარები. კომპლექსურ დავალებაში მითითებული სამიზნე ცნებები და კურიკულუმის ჩარჩო - ცხრლებში მითითებული სამიზნე ცნებები (ერთი და იგივე კონტესქსტ - მაგალითის შემხვევაში) იდენტური იყოს.

ინდიკატორი 2.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა მოწმობს, იმას რომ პედაგოგები ზრუნავენ არა მხოლოდ სასწავლო მიზნის მიღწევაზე, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე. საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შეძლებს ახალი მასალის დააკავშირებას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, გაიზიარებს და გააცნობიერებს სხვის ღირებულებებს, შეძლებს სხვისი პოზიციის აღიარებას, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, შეძლებს თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარებას. მასწავლებლები მუდმივად აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას თემიდან თემამდე, ირგებენ ფასილიტატორის როლს, საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩენენ დახმარებას მოსწავლეს, რაც ხელს უწყობს ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა თვითრეგულაცია, თვითცნობიერება და სხვა. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლაში მოსწავლეთა ჩართვა სოციალურ პროექტებში, სადამრიგებლო საათები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვადასხვა ღონისძიება.. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. კათედრების მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიაზრებს მოსწავლეთა შეფასებას ზეპირი პრეზენტაციის, ვერბალური, წერითი მეტყველების, ჯგუფური მუშაობის, თვითშეფასების დროს. შეფასების კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ შეფასება ეხმარება როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს, მოსწავლე უფრო აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლის საჭიროებების მიხედვით დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების

მნიშვნელობა, იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) რუბრიკები, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ, ქიმიის 8 კლასის მესამე სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ატომის აღნაგობა, პერიოდულობის კანონი და უნდა ეწეროს ელემენტების ორგანიზაციის პრინციპი, ქიმიის 9 კლასის პირველი სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ოქსიდების მიღება, ქიმიური თვისებები და უნდა ეწეროს ნივთიერებათა მრავალფეროვნება, ამავდროულად, საფეხურის შედეგებიც მითითებულია არასწორად, წერია ქიმ. საბ. 1 ,2, 6, 7, 8, 9, 11 და ა.შ. და უნდა ეწეროს ქიმ.საბ. 1, 2, 3, 4; ფიზიკის 7 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია მექანიკური მოძრაობა, ამავდროულად არ არის განსაზღვრული, რუ რომელი სამიზნე ცნების შეფასება ხდება. გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. ***სკოლას მიეცეს რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად) და შეფასების რუბრიკებში მითითებული საფეხურის შედეგები შეესაბამებოდეს სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებს.***

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესში სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება ხდება სისტემატურად. კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში ჩაშლილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეთათვის არის ნათელი და გასაგები. ისინი წინასწარ არიან ინფორმირებულნი, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლები შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. საგნების მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით. ისინი შეფასების რუბრიკებს აცნობენ მოსწავლეების მშობლებსაც. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. დაგეგმილია სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი და დიაგნოსტიკური შეფასების დაფუძნება. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი,შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები,ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები,შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. სკოლაში შექმნილია და მუშაობს ხარისხის განვითარების ჯგუფი. ესწრებიან გაკვეთილებს და

ახდენენ დასკვნების განზოგადებას საფეხურის დონეზე. შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა დაგეგმილია 2023 – 2024 სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს: მოსწავლეთა ნამუშევრებს ერთი წლის ვადით, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა უზრუნველყოფს არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლის ადმინისტრაცია აგრეთვე აღრიცხავს და ინახავს ტესტების, წლიური საგამოცდო დავალებების, შემაჯამებელი დავალებებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ ყველა ინფორმაციას. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში წარმოდგენილი მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი. პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარი თავის რეალიზების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო და საალმზრდელო მომსახურებები- წრეები, მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. სკოლაში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს სწავლასა და განვითარებაში. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**
2. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **მასწავლებლები** ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს; უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. მასწავლებლები იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სისტემებს. ხელს უწყობენ და ახალისებენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. მოსწავლეთა საჭიროებების მონიტორინგში კი მასწავლებელს ეხმარება მათი შედეგების ანალიზი და მუდმივი უკუკავშირი. სკოლაში ხორციელდება დამატებითი მეცადინეობები, რემედიაცია მოსწავლეებთან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით საჭიროებენ გაკვეთილის შემდეგ დახმარებას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის სადამრიგებლო გეგმები, სადაც ჩანს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები, სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური შეფასებები, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. სკოლა ცდილობს წაახალისოს მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, კოპლექსური ბუნების დავალებების მიცემით. მსგავსი ტიპის დავალებები საშუალებას იძლევა მოახდინონ დიფერენცირებული მიდგომა მისწავლისადმი. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია**.
3. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და გუნდურობაზე. მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმებზე, დავალებების მოდიფიცირებაზე, შეფასების რუბრიკებზე. ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება მეტიც, თანამშრომლობენ არ მხოლოდ ერთი კათედრის მასწავლებლები, არამედ აქტიური სახე აქვს სხვადასხვა კადერთის წევრთა თანამშრომლობას, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილებითაც დასტურდება. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თანამშრომლობას არა მხოლოდ მასწავლებლებსა და დირექციას, არამედ სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს შორის. მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები

ჩართონ საერთო პროექტებში და მოსწავლეების მხრიდან აღნიშნულ მიდგომას დადებითი გამოხმაურება აქვს. სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მშობლებთანაც, რაც ზრდის სკოლის თანამშრომლობით კულტურას. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური კომპეტენციების მხარდაჭერას და გაძლიერებას. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, რაც დადებითად აისახება მათ მოტივაციაზეც. **ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის მისია და ხედვა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწავლო წელი);
- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- გაკვეთილების გეგმები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;

- კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები;
- სადამრიგებლო საათების ამსახველი დოკუმენტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება

სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცალკე პუნქტად გაწერილია სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესი და სკოლის შეფასების სტრატეგია და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა გეგმავს და ახორციელებს სწავლების ხარისხის მონიტორინგს, მოსწავლეების შედეგების კვლევას და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. კათედრები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნან მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ კურიკულუმის შეფასებასა და მონიტორინგთან დაკავშირებულ კვლევას, რომლის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ ახალ კურიკულუმს. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. კერძოდ, თითოეული მასწავლებელი სასწავლო წლის მანძილზე აანალიზებს მოსწავლეთა მიღწევებს, გამოკვეთს გასაუმჯობესებელ მხარეებს, გეგმავს მისი გამუმჯობესების გზებსა და ვადებს. დაკვირვების პროცესში გამოკვეთილი მიგნებების გაზიარება ხდება სასკოლო კათედრებზე. ამასთანავე, მასწავლებლებიც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებს. მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ. მონიტორინგის მიზანია გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხელი შეუწყოს მომდევნო წლის მიზნების შემუშავებას, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . ამდენად, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული წევრი ემსახურება ერთიან საქმეს - სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო საზოგადოების მიერ გაცნობიერებულია, რომ თითოეეული წევრი ამა თუ იმ საქმეს ასრულებს არა ვალდებულების, არამედ საერთო საქმის სრულყოფის მიზნებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**
3. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლები აანალიზებენ შეფასებებს, გამოკვეთენ განხორციელებული აქტივობების ძლიერ და სუსტ მხარეებს. კერძოდ, ახდენენ შეფასებას კონკრეტული აქტივობით მიღწეულ იქნა თუ არა მათ მიერ დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგი. სკოლაში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს შეფასების პროცესი. საწყის ეტაპზე ხდება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, დაკვირვების შედეგად გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებზე მიმდინარეობს დეტალური მოკვლევა, ინფორმაციის შეგროვება. საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოების დახმარება და ერთობლივად მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა. თუ გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება მისი მოდიფიცირება და ხელახალი გზების ძება. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის).

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინა შეფასების მრავალფეროვანი ნიმუშები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაწერილია საგნების, კლასების, კომპონენტების მიხედვით და შესაბამისი განმარტებებით. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და დეტალურადაა ასახული სკოლის სასწავლო გეგმაში. კათედრები შეიმუშავებენ სხვადასხვა აქტივობის ზოგადი შეფასების სქემებსაც. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სკოლაში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. ეს მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ ჰოლისტურად. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**
2. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლის მიერ მიღებული შედეგები გაანალიზდება სახლის, სკოლის, კლასის, ეზოს, არაფორმალური გარემოს კონტექსტში. მხოლოდ ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნებია რელევანტური. მასწავლებელი მუდმივად იკვლევს, აკვირდება და

გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად გეგმავს ინტერვენციებს, მოსწავლეების სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასება მუდმივ ანალიზზეა დამოკიდებული. მონაცემების შეგროვება, გადახედვა, დასკვნები აუცილებელი მიმართულებებია შეფასების განსახორციელებლად. სკოლაში მასიურად გამოიყენება ანკეტირება, გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფი, დაკვირვება და სხვა. მასწავლებლები ცდლობენ, გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა სკოლას შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომის უზრუნველყოფისა და თითოეული მეთოდის სუსტი მხარეების დაბალანსების საშუალებას მისცემს. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი), ფსიქო - ემოციურ თავისებურებებს. მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მზაობას, ინტერესებს. სსსმ მოსწავლეები და შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებულია კონკრეტული საგნის შინაარსის ათვისების, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, ფორმალური და არაფორმალური გარემო, სასკოლო პროექტები და სხვა. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გაკვეთილების გეგმები;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეუძლია დაგროვილი გამოცდილება მიმართოს დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლაში მასწავლებელთა მიერ ხდება შემუშავებული კურიკულუმების მონიტორინგი. მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. აღნიშნულის საფუძველზე კი ხდება გადამუშავებული, გაუმჯობესებული კურიკულუმის შემუშავება. კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერისათვის არსებითი მნიშვნელობისაა სკოლაში მასწავლებელთა მიერ ერთმანეთისათვის თავიანთი მიგნებებისა და შედეგების გაზიარება. ამ მიზნით ისინი იკრიბებიან კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებასა და მიგნებებს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესია. მასზე მასწავლებლები მუდმივ რეჟიმში მუშაობენ. ისინი ითვალისწინებენ როგორც საკუთარი, ისე სხვა კათედრების წინარე გამოცდილებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და ახალი კურიკულუმების შექმნის პროცესში გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შეიმუშავენებენ რეკომენდაციებს კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია.**ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება. კურიკულუმების შემუშავება ხდება აქტიურ თანამშრომლობით რეჟიმში. მეთოდოლოგიაში არსებობს მექანიზმი, რომლითაც სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, კერძოდ, მშობელთა კრებებისა და მათთან ინტერვიუების საშუალებით. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები, ინტერესები და შეხედულებები. მასწავლებლები, კათედრების წევრებთან ერთად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, ითვალისწინებენ იმ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც კათედრები და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს, აღნიშნული კი თავისთავად აისახება კურიკულუმში. სასწავლო წლის დასაწყისში ხდება მშობლებთან შეხვედრა და აცნობენ მათ სამომავლო გეგმებს, თუ როგორ წარიმართება საფეხურზე სასწავლო პროცესი. კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად სკოლის მიერ გამოიყენება აგრეთვე, შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა - tbilisi52@mes.gov.ge; დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა - eflow; სოციალური მედია - https://www.facebook.com/profile.php?id=100007906335945; საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან). **ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეებში იკითხება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც გულისხმობს სწავლა–სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას. გამოცდილებაზე დაფუძნებულ, ახლადშემუშავებულ კურიკულუმში გამიზნულია ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის განმტკიცება, სასკოლო საზოგადოების ნაყოფიერი ჩართულობა, სხვადასხვა პროექტის, შემოქმედებითი აქტივობების, გამოფენების, შემეცნებით-ინტელექტუალური თამაშების, ვიტორინების გასვლითი გაკვეთილების,ინტეგრირებული აქტივობების, სადამრიგებლო საათების, ურთიერთდასწრებების („კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი) განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას და მათ

ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. აღსანიშნავია ის, რომ სასკოლო ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ის მუდმივად ახალისებს მოსწავლეთა იდეებს სხვადასხვა პროექტში ჩართულობით. მასწავლებლები და დირექცია სასწავლო აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მშობლებთან თანამშრომლობა ხდება კომპლექსური დავალებების შერჩევის, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესშიც. **ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო პედაგოგიური საზოგადოების მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წლის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებს მუშაობა, სკოლაში მიმდინარე მმართველობითი და დამხმარე პროცესები). ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულნი არიან კათედრების წევრები და სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულიმის შედგენისას ისინი ითვალისწინებენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, მათ შესაძლებლობებს, ინტერესებს, საჭიროებებს. მშობელთა ინტერესებს. განსაზღვრავენ მომდევნო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. თანხმდებიან კომპლექსურ დავალებებზე, ძირითად და დამხმარე რესურსებზე. შეფასების ინსტრუმენტებსა და მოსწავლეთა მხარდამჭერ აქტივობებზე. აღსანიშნავია ის, რომ მომავალ სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და კიდევ უფრო მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში, კერძოდ, სკოლის ადმინაისტრაციის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მონაცემების დამუშავების საფუძველზე შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რომელიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. **ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იგი საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, მაგ: საგნობრივი და სადამრიგებლო პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი გაწერილი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე, მშობლები ინფორმირებულნი არიან ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების შესახებ და შესაბამისად, მშობელთა ჩართულობა პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს სასკოლო კულტურასა და სასწავლო პროგრამების ხარისხზე. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. **ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწავლო წელი);*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *არაფორმალური-განათლება დიზაინერის თვალი;*
- *კათედრების სხდომების ოქმები;*
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის";*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრებზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები არის მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მასზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას. აღნიშნული წარმოჩნდა მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ კომპლექსური ბუნების დავალებებს, პროექტებს (განხორციელებული პროექტები -„მდგრადი განვითარება უკეთესი მომავლისთვის“, „ჯანსაღი ცხოვრება-ჯანსაღი მომავალი”, „დედამიწა შველას ითხოვს“ და სხვა). წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, გაწერილია კომპლექსური დავალების იდეები, კონტექსტ მაგალითები, რესურსები რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აკვირდებიან მოსწავლეების ნამუშევრებს აანალიზებენ მათ საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს. **ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევასა და გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას,. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება

კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. პედაგოგებმა ასევე ისაუბრეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ისინი დაგეგმავენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. ნიშანდობლივია ის, რომ სკოლაში ხორციელდება მრავალი პროექტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. **ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მოსწავლეს განიხილავს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. ამისათვის მას შემუშავებული აქვს დიფერენცირებული მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გამოცდილება. მოსწავლეებს სამუშაო ეძლევათ მათი შესაძლებლობების მიხედვით. მრავალფეროვანია შესაქმნელი პროდუქტიც. დიფერენცირებული სწავლება ითვალისწინებს სწავლების პროცესში ისეთი მიდგომების დანერგვას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში საბაზისო უნივერსალური უნარ– ჩვევების განვითარებას. სწავლების პროცესში მასწავლებლების მიერ გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ინტერესები. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის იქმნება ინდ. გეგმები. მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები (სსსმ მოსწავლის ასისტენტი, სპეციალური განათლების პედაგოგები, ფსიქოლოგი), რომელთა მიერ ხდება მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევა. სკოლაში ნებისმიერ სსსმ მოსწავლეს მიეწოდება ინდივიდუალურ გეგმაში გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად საჭირო რესურსები, მაგ. სპეციალური ფურცლები, სხვადასხვა უნარის განსავითარებელი სავარჯიშოები, მათზე მორგებული დავალებები. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მიზნით, სკოლას შექმნილი აქვს, მონიტორინგის ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც ხდება ინკლუზიური განათლების დახვეწა. **ინდიკატორი 2.1.2. 3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას. წარმოდგენილია წერითი დავალების, შემაჯამებელი დავალების, ზეპირიმეტყველების, სასწავლო პროექტის და ა.შ. შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ამას ადასტურებს ის, რომ შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს, კონკრეტულ კომპლექსური ბუნების დავალებას. სასწავლო წლის დასაწყისში, საგნობრივ კათედრებზე შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს თემატიკის მიხედვით. წარმოდგენილ რუბრიკებში ჩანს ხედვა, თუ როგორ უნდა შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ერთი მხრივ, სტანდარტის ინდიკატორებზე, მეორე მხრივ კი, მკვიდრ წარმოდგენებსა და დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებით. მოსწავლის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს

(დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დაკვირვებას აწარმოებს მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად. მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ეხმარება მათ დაკვირვება მოსწავლის სწავლის სტილის, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესწავლაში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეარჩია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება შეფასების რუბრიკების დახვეწაც. **ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, კათედრებზე კურიკულუმების დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. აანალიზებენ ხარვეზებს და შესაბამისად აუმჯობესებენ კურიკულუმს. სკოლა აქტიურად იყენებს მიდგომას „კრიტიკული მეგობარი“. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც ხდება საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და გამოწვევების ანალიზი. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ეცნობიან საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სიახლეებს, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ ქოუჩების რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთად გეგმავენ ინტერვენციებს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- არაფორმალური-განათლება დიზაინერის თვალი;

- საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის";*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესი წარმართულია იმგვარად, რომ წახალისებულია მოსწავლეთა მონაწილეობა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში. შემუშავებული კომპლექსური დავალებები მოითხოვს მოსწავლეთა მხრიდან აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. გარდა ამისა, მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სასკოლო პროექტებში, საკლუბო აქტივობებში, ღონისძიებებსა და ვიქტორინებში, სადაც მათ ეძლევათ საშუალება, საკუთარი იდეები წარმოაჩინონ შემოქმედებითად. **ინდიკატორი 2.2.1.1დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. ამის მტკიცებულებაა საფეხურის კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, გაცვლითი პროგრამა (გერმანულ ენაში), სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ცხოვრებისეულ კონტექსტებზე დაყრდნობით შერჩეული კონტექსტ მაგალითები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, შერჩეული თემები წარმოადგენს აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მიღებული ინფორმაცია გარდაქმნას აქტიურ ცოდნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკლასო სივრცეში მიღებული ცოდნა ფართოდ იშლება სასკოლო პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ფორმალური თუ არაფორმალური განათლებისას ყოველი ახალი საკითხი ემყარება არსებულ ცოდნას, ამით განამტკიცებს ძველს და უფრო იოლად აღსაქმელს ხდის ახალს. სამომავლოდ კათედრები გეგმავენ, კვლავ განაგრძონ ამ კუთხით მუშაობა წარმატებული პრაქტიკის გამოყენებით. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**
3. მასწავლებლები პროექტებსა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში წაახალისებენ მეტაკოგნიციას, ხელს უწყობენ მოსწავლის რეფლექსიას, ცდილობენ შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებას მორგებული. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლების პროცესი საინტერესოა, შეძენილ ცოდნას აკავშირებს განსხვავებულ გამოცდილებასთან, შეიცავს გამოწვევას და მოსწავლის ყურადღებას ამახვილებს საკუთარ მიღწევებზე, ძალისხმევაზე. წარმოდგენილი თემატური მატრიცები და მასში არსებულ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში დასმული მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვები მოსწავლეს აფიქრებს სასწავლო პროცესზე. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები. მოსწავლის მიერ გაკეთებული თვითშეფასება, დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა, გამოცდილება დააგროვა, სწავლების

რომელმა სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა სირთულეებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და მათ ინტერვიუში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) ორიენტირებულობა. კურიკულუმების ჩარჩოებში თემები ისეა აგებული, რომ მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხს სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან, გამოყენებულია ელექტრონული რესურსი, მუშავდება ქვესაკითხები ერთმანეთთან კორელაციაში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს კონკრეტული აქტივობები, შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში მათ მიერ შექმნილი პროდუქტებიდან ჩანს, რომ ისინი ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებში მოსწავლეები შემოქმედებითად უდგებიან აქტივობებს. მათ აქვთ შესაძლებლობა, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, უღრმავდებათ თვითშეფასების უნარი და უფრო ადვილად იმკვიდრებენ ადგილს საზოგადოებაში. მასწავლებლები სამომავლოდ გეგმავენ, რომ კომპლექსური დავალებების დამუშავების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმონ პირობისეული ცოდნის გააქტიურებას და დამუშავებას. **ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**
5. კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოებში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, კომპლექსური და პროექტული ტიპის დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მოცემული კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტების რეალიზების გზებს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. სკოლაში წარმოდგენილია ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კათედრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და ცდილობენ საგანთა შორის კავშირები მიზნობრივი გახადონ სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაშიც მეტი სიხშირით ჩატარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. **ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმების ჩარჩოებში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხები და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას ისახავს მიზნად. გამოკვეთილია კომპლექსური დავალების იდეები, შერჩეულია კონტექსტ მაგალითები. ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით კათედრებს აქვთ მზაობა, სასწავლო პროცესი წარმართონ სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

   საშუალო საფეხურის **უცხოური ენების** კურიკულუმში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და საკვანძო შეკითხვებს შორის. ინტერვიუს დროს უცხო ენის კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ, მათ მიერ მოხდა კურიკულუმის გადახედვა და 2023-24 სასწავლო წლისთვის მზად აქვთ საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. სკოლაში ვიზიტის მეორე დღეს, დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში უცხო ენის კათედრამ წარმოადგინა გერმანული ენის კურიკულუმის ჩარჩოები, სადაც ასახულია სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და შესაბამისი საგნობრივი საკითხები, გამოკვეთილია კომპლექსური დავალების იდეა, შერჩეულია კონტექსტმაგალითი. რაც შეეხება რუსულ ენას, სკოლაში ისწავლება დამატებით სავალდებულო საგანად X-XI კლასებში არჩევით ხოლო XII კლასში როგორც მეორე უცხო ენა. ინგლისური ენის კათედრას არ წარმოუდგენია რუსული ენის კურიკულუმი შესაბამის კლასებში. სკოლის მასალებში დევს მხოლოდ მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩო. შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, კერძოდ, შეიქმნას კურიკულუმის ჩარჩო მე-10, მე-11, მე-12 კლასების რუსულ ენაში.. ასევე, ინგლისური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ მე-10 კლასის კომპლექსური დავალების ბარათის ჩარჩოში გვხვდება სამიზნე ცნების ძველი ვერსია, რაც საჭიროებს განახლებას. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დამტკიცებამდე გადახედავენ კურიკულუმებს, შეიქმნება კომპლექსური დავალების ბარათები, დაზუსტდება გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებებები/ქვესაკითხები, შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, რაც ხელს შეუწყობს უცხოური ენის შესწავლას მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომებით. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, კათედრაზე მასწავლებლები განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს. მომდევნო სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწავლეთა, მშობელთა და სკოლის

ადმინისტრაციის აქტიურ ჩართვას რეფლექსიის პროცესში. ***სკოლას არ აქვს რუსული ენის მე-10, მე -11, მე -12 კლასების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები გაწერილი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად.***

სკოლას მიეცა რჩევა საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში დაზუსტდეს გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და შეფასების კრიტერიუმები.

საშუალო საფეურის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია)** მიმართულების ყველა კლასის (X, XI) კურიკულუმის ჩარჩოებში, მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, **თუმცა არის რიგი ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ:**

ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I (ელექტროსტატიკა) და II თემის (მუდმივი დენის კანონები) ყველა ძირითად საკითხთან მითითებულია სამიზნე ცნებები შესაბამისი შესაბამისი კერძო ქვცენების გარეშე.

II თემის (მუდმივი დენის კანონები) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელშც არ არის მითითებული მოსწავლის მიერ შესაქმნელი შემოქმედებითი პროდუქტი.

ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილი გაწერილი არ არის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში I თემად მითითებულია „მექანიკური რხევები და ტალღები“, ხოლო საკითხებად - მათემატიკური ქანქარა; რხევითი მოძრაობის შესწავლა; თავისუფალი და იძულებითი რხევები; რეზონანსი; მექანიკური ტალღები; ბგერითი ტალღა; საშუალო საფეხურის ფიზიკის სტანდარტის მიხედვით XI კლასის I სავალდებულო თემა არის „ელექტრომაგნიტური მოვლენები“, საკითხები კი - მაგნიტური ველის ინდუქცია და მისი წირები; ამპერისა და ლორენცის ძალები; ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენა; კოჭას ინდუქციურობა და მაგნიტური ველის ენერგია; ელექტრული დენის გენერატორი; ელექტროძრავა.

ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში II თემად მითითებული არის “ელექტრომაგნიტური რხევები და ტალღები”, ხოლო საკითხებად - ანალოგია მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ მოვლენებს შორის; ცვლადი დენი, ცვლადი დენის გენერატორი; დენის ძალისა და ძაბვის ეფექტური მნიშვნელობა; ელექტრული ენერგიის გადაცემა; ტრანსფორმატორი; ელექტრომაგნიტური ტალღები; რენტგენის სხივები; საშუალო საფეხურის ფიზიკის სტანდარტის მიხედვით XI კლასის II სავალდებულო თემა არის „რხევები და ტალღები“, საკითხები კი - ჰარმონიული რხევა და მისი მახასიათებლები; განივი და გრძივი ტალღა; ბგერა და მისი გავრცელება; ელექტრომაგნიტური რხევები - რხევითი კონტური (LC); ცვლადი დენი; ცვლადი

დენის გენერატორი; ელექტროენერგიის გადაცემა, ტრანსფორმატორი; ელექტრომაგნიტური ტალღები და მათი სიხშირის დიაპაზონი.

ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში III თემად მითითებული არის „მოლეკულურ-კინეტიკური თეორია და თერმოდინამიკა“, ხოლო საკითხებად - თერმოდინამიკული პარამეტრები; მოლეკულურ კინეტიკური თეორიის დებულებები. მოლეკულების რაოდენობა და მასა; ნივთიერების რაოდენობა, მოლური მასა; ავოგადროს მუდმივა; იდეალური აირი; მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ძირითადი განტოლება. ტემპერსატურა. ტემპერატურის აბსოლუტური სკალა; ტემპერატურა - მოლეკულების საშუალო კინეტიკური ენერგიის ზომა; იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება; აირის კანონები; შინაგანი ენერგია და მისი შეცვლის ხერხები; სითბოს რაოდენობა. მუშაობა აირის მოცულობის ცვლილებისას; ნაჯერი ორთქლი. დუღილი. ჰაერის ტენიანობა; თერმოდინამიკის პირველი კანონი. მისი გამოყენება სხვადასვა პროცესებისათვის. ადიაბატური პროცესი; შქცევადი და შეუქცევადი პროცესევბი, თერმოდინამიკის მეორე კანონი. სითბური ძრავები; საშუალო საფეხურის ფიზიკის სტანდარტის მიხედვით XI კლასის III სავალდებულო თემა არის „გეომეტრიული ოპტიკა“, საკითხები კი სინათლის წრფივი გავრცელება; სინათლის არეკვლა; სინათლის გარდატეხა; თხელი ლინზა; ოპტიკური სისტემები.

ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში IV თემად მითითებული არის „ბირთვული ენერგიის მიღება და მათი გამოყენება“, ხოლო საკითხებად - ბირთვული კვლევები. რადიოაქტივობა. ალფა, ბეტა, გამა გამოსხივება. რადიოაქტიური გამოსხივება; ატომის აგებულება. რეზერფორდის ცდები. ატომის პლანეტარული მოდელი; ბორის პოსტულატები. რადიოაქტიური გარდაქმნები. ნახევარდაშლის პერიოდი; ბირთვული რეაქციები. პროტონის და ნეიტრონის აღმოჩენა. ატომის ბირთვის აგებულება; ბირთვული ძალები. ატომური ბირთვების ბმის ენერგია. მასის დეფექტი. ბმის ენერგიის მასურ რიცხვზე დამოკიდებულება; ბირთვული რეაქციები პროტონებით და ნეიტრონებით. ჯაჭვური ბირთვული რეაქციები. ერმპობირთვული რეაქციები. ბირთვული რეაქტორი; საშუალო საფეხურის ფიზიკის სტანდარტის მიხედვით XI კლასში IV შესასწავლი თემა გაწერილი საერთოდ არ არის.

სკოლას არ აქვს საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფიზიკის მიმართულების (X და XI კლასები) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები გაწერილი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, კერძოდ, საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფიზიკის მიმართულების X კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში გაწერილ ყველა სავალდებულო თემასთან მითითებულ სამიზნე ცნებას არ აქვს განსაზღვრული შესაბამისი კერძო ქვცენება; რაც შეეხება საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფიზიკის მიმართულების XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილს, იგი არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია 2.2.2(1) ინდიკატორთან მიმართებით, რომელშიც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11.10.2023-დან 29.12.2023-მდე პერიოდი. სკოლას მიეცეს რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნვრლყოს საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფიზიკის მიმართულების XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილის შექმნა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, ისინი უნდა მოიცავდეს გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად გაწერილ შესასწავლ ყველა სავალდებულო თემას (სტანდარტის მიხედვით); ფიზიკის მიმართულების X კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში ყველა სავალდებულო თემასთან მითითებულ სამიზნე ცნებასთან განსაზღვროს შესაბამისი კერძო ქვცენება. ასევე, შექმნას X, XI კლასების კურიკულუმის ჩარჩო ცხრილი მესამე უცხოური ენა - არჩევითი კურსის სტანდარტის, ხოლო XII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილი საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგროც „მეტწილად შეესაბამება".

2. კურიკულუმებში წარმოდგენილი მასალა მოწმობს, იმას რომ პედაგოგები ზრუნავენ არა მხოლოდ სასწავლო მიზნის მიღწევაზე, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე. საგნობრივი კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შეძლებს ახალი მასალის დააკავშირებას ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, გაიზიარებს და გააცნობიერებს სხვის ღირებულებებს, შეძლებს სხვისი პოზიციის აღიარებას, გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, შეძლებს თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარებას. მასწავლებლები მუდმივად აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას თემიდან თემამდე, ირგებენ ფასილიტატორის როლს, საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩენენ დახმარებას მოსწავლეს, რაც ხელს უწყობს ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა თვითრეგულაცია, თვითცნობიერება და სხვა. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლაში მოსწავლეთა ჩართვა სოციალურ პროექტებში, სადამრიგებლო საათები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი სხვადასხვა ღონისძიება.. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს.

კათედრების მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოიაზრებს მოსწავლეთა შეფასებას ზეპირი პრეზენტაციის, ვერბალური, წერითი მეტყველების, ჯგუფური მუშაობის, თვითშეფასების დროს. შეფასების კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ შეფასება ეხმარება როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს, მოსწავლე უფრო აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლის საჭიროებების მიხედვით დაიგეგმოს სასწავლო პროცესი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, მათ აქვთ შექმნილი შეფასების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) რუბრიკები, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ, ქიმიის 10 კლასის პირველი სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ატომის აღნაგობა, პერიოდულობის კანონი, ქიმიური ბმები და უნდა ეწეროს ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები, ქიმიის 10 კლასის მეორე სავალდებულო თემის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში თემა არის მითითებული არასწორად, წერია ქიმიური რეაქციის სიჩქარე და ქიმიური წონასწორობა, წონასწორობის გადახრის პირობები და უნდა ეწეროს ქიმიური კინეტიკა. ქიმიის 10 კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში (შექმნილი არის პირველი სავალდებულო თემის ერთი კონტექსტ - მაგალითისთვის) თემა არის მითითებული არასწორად, წერია ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმა და უნდა ეწეროს ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები, ამავდროულად, აღნიშნული რუბრიკის პირველ სვეტში უნდა ეწეროს შესაბამისი სამიზნე ცნება საფეხურის შედეგის მითითებით, ხოლო მეორე რუბრიკის მეორე სვეტში - სამიზნე ცნების შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენები. გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსურ დავალებას შეაფასებენ განმავითარებელი შეფასების საშუალებით, შეიმუშავებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემებთან მიმართებით, აწარმოებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, მოახდენენ დიაგნოსტიკური წერის ანალიზს.

სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმსაზღვრელი შეაფსების რუბრიკებში სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად) და შეფასების რუბრიკებში მითითებული საფეხურის შედეგები შეესაბამებოდეს სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებს; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმავითარებელი შეაფსების რუბრიკებში

სასწავლო თემის დასახელება მითითებული იყოს სწორად (სტანდარტის შესაბამისად) და შეფასების რუბრიკებში მითითებული იყოს შესაბამისი სამიზნე ცნებები საფეხურის შედეგებითა და მკვიდრი წარმოდგენებით შესაბამის ადგილას.

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესში სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. შეფასება ხდება სისტემატურად. კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებში ჩაშლილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეთათვის არის ნათელი და გასაგები. ისინი წინასწარ არიან ინფორმირებულნი, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლები შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. საგნების მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით. ისინი შეფასების რუბრიკებს აცნობენ მოსწავლეების მშობლებსაც. **ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. დაგეგმილია სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი და დიაგნოსტიკური შეფასების დაფუძნება. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირდება შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი,შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები,ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები,შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. სკოლაში შექმნილია და მუშაობს ხარისხის განვითარების ჯგუფი. ესწრებიან გაკვეთილებს და ახდენენ დასკვნების განზოგადებას საფეხურის დონეზე. შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა დაგეგმილია 2023 – 2024 სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს: მოსწავლეთა ნამუშევრებს ერთი წლის ვადით, ხოლო შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა უზრუნველყოფს არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლის ადმინისტრაცია აგრეთვე აღრიცხავს და ინახავს ტესტების, წლიური საგამოცდო დავალებების, შემაჯამებელი დავალებებისა და კომპლექსური დავალებების შესახებ ყველა ინფორმაციას. **ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის“;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში წარმოდგენილი მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი. პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის განვითარებაზე. სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება. დანერგილია კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარი თავის რეალიზების საშუალებას აძლევს. სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებები- წრეები,

მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. სკოლაში შექმნილია ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეებს სწავლასა და განვითარებაში. **ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებაში, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. **მასწავლებლები** ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს; უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. მასწავლებლები იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სისტემებს. ხელს უწყობენ და ახალისებენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. მოსწავლე თავად არის საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. მოსწავლეთა საჭიროებების მონიტორინგში კი მასწავლებელს ეხმარება მათი შედეგების ანალიზი და მუდმივი უკუკავშირი. სკოლაში ხორციელდება დამატებითი მეცადინეობები, რემედიაცია მოსწავლეებთან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით საჭიროებენ გაკვეთილის შემდეგ დახმარებას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის სადამრიგებლო გეგმები, სადაც ჩანს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები, სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური შეფასებები, სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. სკოლა ცდილობს წაახალისოს მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, კოპლექსური ბუნების დავალებების მიცემით. მსგავსი ტიპის დავალებები საშუალებას იძლევა მოახდინონ დიფერენცირებული მიდგომა მისწავლისადმი. **ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია.**
3. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და გუნდურობაზე. მასწავლებლები ერთად მუშაობენ კურიკულუმებზე, დავალებების მოდიფიცირებაზე, შეფასების რუბრიკებზე. ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება მეტიც, თანამშრომლობენ არ მხოლოდ ერთი კათედრის მასწავლებლები, არამედ აქტიური სახე აქვს სხვადასხვა კადერთის წევრთა თანამშრომლობას, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილი ინტეგრირებული გაკვეთილებითაც დასტურდება. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თანამშრომლობას არა მხოლოდ მასწავლებლებსა და დირექციას, არამედ სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს შორის. მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ჩართონ საერთო პროექტებში და მოსწავლეების მხრიდან აღნიშნულ მიდგომას დადებითი გამოხმაურება აქვს. სკოლას აქვს აქტიური კომუნიკაცია მშობლებთანაც, რაც ზრდის სკოლის თანამშრომლობით კულტურას. **ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია.**
4. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხარდაჭერა. შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. სკოლა ცდილობს პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფას როგორც სასკოლო, ისე საკლასო დონეზე. ამას ხელს უწყობს როგორც სკოლის შინაგანაწესი, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაც. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური კომპეტენციების მხარდაჭერას და გაძლიერებას. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე

არაფორმალურ აქტივობებში, პროექტებში, რაც დადებითად აისახება მათ მოტივაციაზეც. **ინდიკატორი 2.2.3.4.დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *სკოლის მისია და ხედვა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის);*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023 სასწავლო წელი);*
- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;*
- *გაკვეთილების გეგმები;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;*
- *კათედრების სხდომების ოქმები;*
- *კვლევა „დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომების მნიშვნელობა სწავლების გაუმჯობესებისათვის";*
- *სკოლის თვითშეფასების ანგარიში;*
- *განხორციელებული პროექტებისა და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები;*
- *სადამრიგებლო საათების ამსახველი დოკუმენტები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ესგ-ის სტანდარტის შესაბამისად კურიკულუმის მეთოდოლოგიის მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცალკე პუნქტად გაწერილია სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესი და სკოლის შეფასების სტრატეგია და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლა გეგმავს და ახორციელებს სწავლების ხარისხის მონიტორინგს, მოსწავლეების შედეგების კვლევას და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. კათედრები გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის შექმნან მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც ჩაატარებენ კურიკულუმის შეფასებასა და მონიტორინგთან დაკავშირებულ კვლევას, რომლის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ ახალ კურიკულუმს. **ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. კერძოდ, თითოეული მასწავლებელი სასწავლო წლის მანძილზე აანალიზებს მოსწავლეთა მიღწევებს, გამოკვეთს გასაუმჯობესებელ

მხარეებს, გეგმავს მისი გამუმჯობესების გზებსა და ვადებს. დაკვირვების პროცესში გამოკვეთილი მიგნებების გაზიარება ხდება სასკოლო კათედრებზე. ამასთანავე, მასწავლებლებიც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებს. მასწავლებლის გაკვეთილებზე დასწრება ხდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ. მონიტორინგის მიზანია გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხელი შეუწყოს მომდევნო წლის მიზნების შემუშავებას, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . ამდენად, სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული წევრი ემსახურება ერთიან საქმეს - სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სასკოლო საზოგადოების მიერ გაცნობიერებულია, რომ თითოეეული წევრი ამა თუ იმ საქმეს ასრულებს არა ვალდებულების, არამედ საერთო საქმის სრულყოფის მიზნებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლები აანალიზებენ შეფასებებს, გამოკვეთენ განხორციელებული აქტივობების ძლიერ და სუსტ მხარეებს. კერძოდ, ახდენენ შეფასებას კონკრეტული აქტივობით მიღწეულ იქნა თუ არა მათ მიერ დაგეგმილი მოსალოდნელი შედეგი. სკოლაში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს შეფასების პროცესი. საწყის ეტაპზე ხდება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, დაკვირვების შედეგად გამოკვეთილ მნიშვნელოვან საკითხებზე მიმდინარეობს დეტალური მოკვლევა, ინფორმაციის შეგროვება. საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოების დახმარება და ერთობლივად მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა. თუ გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება მისი მოდიფიცირება და ხელახალი გზების ძება. **ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის ანგარიში სასწვლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ (10 დეკემბრისათვის).

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინა შეფასების მრავალფეროვანი ნიმუშები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაწერილია საგნების, კლასების, კომპონენტების მიხედვით და შესაბამისი განმარტებებით. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და დეტალურადაა ასახული სკოლის სასწავლო გეგმაში. კათედრები შეიმუშავებენ სხვადასხვა აქტივობის ზოგადი შეფასების სქემებსაც. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სკოლაში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. ეს მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან წყაროებს, ცდილობენ მოსწავლეები შეაფასონ ჰოლისტურად. **ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**
2. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლის მიერ მიღებული შედეგები გაანალიზდება სახლის, სკოლის, კლასის, ეზოს, არაფორმალური გარემოს კონტექსტში. მხოლოდ ამგვარი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნებია რელევანტური. მასწავლებელი მუდმივად იკვლევს, აკვირდება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად გეგმავს ინტერვენციებს, მოსწავლეების სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ შეფასება ხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით.

   უცხოურ ენებში - სკოლაში შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი კონტექსტი, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები, თანამშრომლობითი გარემო და სხვა. უცხოური ენების კათედრა მომავალ სასწავლო წელს გეგმავს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც ისინი დააკვირდებიან ისეთი კონტექსტებიდან დანახულ სიტუაციას, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, თემა, საკითხი, ინტერესები და სხვა.

   საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ბიოლოგია და ფიზიკა) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად

გამოიკვეთა, რომ რომ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, დისკუსია, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება), ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გაცდენილი გაკვეთილების მასალის გაანალიზება.
ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. შეფასება მუდმივ ანალიზზეა დამოკიდებული. მონაცემების შეგროვება, გადახედვა, დასკვნები აუცილებელი მიმართულებებია შეფასების განსახორციელებლად. სკოლაში მასიურად გამოიყენება ანკეტირება, გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფი, დაკვირვება და სხვა. მასწავლებლები ცდლობენ, გაიგონ მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების აზრი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. შეფასების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეებიც. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა სკოლას შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომის უზრუნველყოფისა და თითოეული მეთოდის სუსტი მხარეების დაბალანსების საშუალებას მისცემს. **ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.**
4. პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს (საფეხური, კლასი), ფსიქო - ემოციურ თავისებურებებს. მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მზაობას, ინტერესებს. სსსმ მოსწავლეები და შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლეები ფასდებიან განსხვავებული ინდიკატორებით შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. შეფასებისას გათვალისწინებულია კონკრეტული საგნის შინაარსის ათვისების, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, ფორმალური და არაფორმალური გარემო, სასკოლო პროექტები და სხვა. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის წარმატებასთან დაკავშირებით და სხვ. **ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გაკვეთილების გეგმები;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*

- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი, შეუძლია დაგროვილი გამოცდილება მიმართოს დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლაში მასწავლებელთა მიერ ხდება შემუშავებული კურიკულუმების მონიტორინგი. მისი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთა. აღნიშნულის საფუძველზე კი ხდება გადამუშავებული, გაუმჯობესებული კურიკულუმის შემუშავება. კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერისათვის არსებითი მნიშვნელობისაა სკოლაში მასწავლებელთა მიერ ერთმანეთისათვის თავიანთი მიგნებებისა და შედეგების გაზიარება. ამ მიზნით ისინი იკრიბებიან კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებასა და მიგნებებს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად

გამოიკვეთა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი. **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა ციკლური პროცესია. მასზე მასწავლებლები მუდმივ რეჟიმში მუშაობენ. ისინი ითვალისწინებენ როგორც საკუთარი, ისე სხვა კათედრების წინარე გამოცდილებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომლებიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახულია პრობლემის დაძლევის შესაბამისი ცვლილებები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებისა და ახალი კურიკულუმების შექმნის პროცესში გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, შეიმუშავენებენ რეკომენდაციებს კურიკულუმის გასაუმჯობესებლად და ამ რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნება კურიკულუმის განახლებული ვერსია. **ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- თემატური მატრიცები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები;
- შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



31.10.2023 წ
თარიღი